# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრბოს გართობა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 18 ივნისი. 2016 წ. №112 (8004), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


უმუხრუჭო უსინდისობა

## უმუზლძარღვო ნაციონალები

### კორცხელს მაშველ რგოლსავით ებღაუჭებიან



იხ. 2 გვ.

ბოლო დიდმა უამინდობამ, სეტყვიანმა წარღვნებმა ყოველგვარი მოსავლის მოყვანის იმედი გადაუწრიტა ხალხს. ერთადერთი მოსავალი, თუ გინდ ჭირნახული ვთქვათ, რაც არა მარტო საქართველოს, არამედ ჩვენზე ათჯერ და იქნებ ასჯერ მოზრდილ ქვეყნებსაც აუვსებდა ბეღლებს, პოლიტიკური უნამუსობა და უსინდისობაა, აგრერიგად რომ გაიუხვა თავი ჩვენს ცაფირუზ, ხმელეთზურმუხტ ქვეყანაში, რომელიც, როგორც აბესალომის ეთერს მკბენარი, ისე შესევიან ათასი ჯურის კუანა და ცუანა პარტიები და, გარდა იმისა, რომ ბოლო სისხლს სწოვენ, ათაყვანებენ კიდეც.

და აი, ამ მკბენარ, გამომთაყვანებელ პარტიათა სათავეში ისევ ათწლიან ათასდანაშაულაკიდებული ნაციონალები დარაზმულან, ისევ ეს ძველცოდვებჩამოურეცხავი (ანდა რა ლიახვი ჩამორეცხავს!) ადამიანები ქაქანებენ ყველაზე მეტად, ამცრობენ და აჩალავებენ დემოკრატობანას თამაშით (სამწუხაროდ, ბევრს სწორედ ასე ჰგონია) გართულ ხელისუფლებას.




3

## „კარვების რევოლუცია“, ანუ ლენინიდან მიშამდე



ევრიკა „ცრუსთავი-2“-ის ეკრანიდან

7

## რადგან შველი ქართულ წყალს სვამს, ეს, თურმე, აკნინებს ფიროსმანის საერთაშორისო მასშტაბს

## გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს!

იხ. 4-5 გვ.



### – ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!

## ახალგაზრდებო! არ შეგეშინდეთ ახალი იდეების, არ შეგეშინდეთ ნაბიჯის გადადგმის

**არ შეგეშინდეთ ახალი იდეების, არ შეგეშინდეთ ნაბიჯის გადადგმის; პირველი ნაბიჯის გადადგმა არის უმთავრესი, იმისთვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ, - ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა „სტარტაპ საქართველოს“ პრეზენტაციაზე შეკრებილ ახალგაზრდებს.**

პრემიერმა „სტარტაპ საქართველოს“ პროგრამის შესახებ ისაუბრა, რომელიც საქართველოს მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში დაიწყო და აღნიშნა, რომ თითოეული ადამიანის შესაძლებლობების რეალიზაციისთვის შესაბამისი პირობების შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია.

**„ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში სამეწარმეო სულისკვეთების განვითარება, რათა ადამიანებმა იფიქრონ, როგორ მოიფიქრონ ახალი იდეები იმისთვის, რომ შექმნან საკუთარი ბიზნესი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ შევქმნათ შესაბამისი ეკოგარემო, რომელშიც ახალგაზრდები, ინოვაციურად მოაზროვნე ადამიანები ამას შეძლებენ. ამიტომ, დღეს ჩვენ ვიწყებთ სრულიად ახალ პროგრამას — „სტარტაპ საქართველო“. ეს არის პროგრამა, რომელიც შეცვლის ჩვენს ქვეყანას უკეთესობისკენ, გააჩენს ახალ შესაძლებლობებს და განავითარებს ქვეყანაში სამეწარმეო სულისკვეთებას“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა განმარტა, რომ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, ახალგაზრდებს, დამწყებ ბიზნესმენებს უნდა ჰქონდეთ სიახლეზე ორიენტირებული ბიზნესიდეა და, შესაძლოა, სრულიად არ ჰქონდეთ კაპიტალი, რომლითაც ბიზნესი უნდა დაიწყონ. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ახალი პროგრამა გამორჩეულია იმით, რომ ქმნის შესაძლებლობებს ნიჭიერი ადამიანებისთვის, რათა მათ, საწყისი კაპიტალის არქონის პირობებშიც, წამოიწყონ ბიზნესი.

**„გარემო, სადაც ჩვენ ვიმყოფებით — ტექნოპარკი, რომელიც სულ უახლოეს წარსულში შეიქმნა, იძლევა საშუალებას, გამოვიყენოთ მთლიანად აქ არსებული ინფრასტრუქტურა; აქ არის იურიდიული კომპანიების მომსახურება, აქ გახლავთ ის სამეწარმეო საწყისი ინფრასტრუქტურა, რომელიც ინოვაციურად მოაზროვნე ადამიანებს მისცემს საშუალებას, წამოიწყონ ბიზნესი და, რა თქმა უნდა, იმ ადამიანებს, რომლებსაც ამ პროგრამით ბიზნესიდეები დაუფინანსდებათ, სახელმწიფო დაეხმარება ასევე ექსპორტში და მათი შესაძლებლობების ქვეყნის გარეთ რეალიზებაშიც“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.



პრემიერის თქმით, პროგრამისთვის საწყის ეტაპზე 11 მილიონი ლარი გამოიყოფა, ხოლო შემდგომ, გათვალისწინებულია პროგრამის ბიუჯეტის 35 მილიონ ლარამდე გაზრდა.

განაცხადების მიღება დღეიდან დაიწყება და 31 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება. პროექტები კონკურსის წესით შეირჩევა. დაინტერესებული პირები, ერთი ფანჯრის პრინციპით, ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ ტექნოლოგიური პარკის შენობაში, ასევე, იმუშავებს ცხელი ხაზი.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც პროგრამის დაწყების მოსამზადებელ სამუშაოებში მიიღო მონაწილეობა — ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საპარტნიორო ფონდს, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოს.

**⊙ უმუხრუჭო უსინდისობა**

# უშუბლძარღვო ნაციონალები

(პირველი გვერდიდან)

მარტო რომ ქაქანებდნენ, კიდევ ჯანდაბას! სულ ახალ და ახალ ტყუილებს იგონებენ და გვარამიასგან ჩაბერილი „ცრუსთავი 2“-ის ბუკ-ნაღარით აყრუებენ ბევრი თვალსაზრისით ისედაც გამოყრუებულ ჩვენს ამომრჩეველს, რომელსაც უსინდისოდ არწმუნებენ (ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ, რომ დაარწმუნონ!), ჩვენ ისინი აღარა ვართო, ვინც ადრე ვიყავითო, მწამებლები და მყვლეფავებიო, მოვალთ თუ არა, პენსიას 50 ლარით გაგიზრდითო, დილ-დილაობით ხელის გულზე შემწვარ ცხელ-ცხელ ერბოკვერცხს მოგართმევთო, ანუ რა ოცნებებიც „ოცნებამ“ ვერ აგისრულათ, ჩვენ უკლებლივ კი არა, გადაჭარბებით შეგისრულებთო (ისემც შეურცხვათ ხელისუფლებაში ისევ დასაბრუნებლად გაბზეკილი ცხვირი!).

ერთი სიტყვით, სააკაშვილის ნაცვლად ახლა მეორე ქოსატყუილა დავით ბაქრაძე დაიყენეს ამირსპასალარად და გულუბრყვილო ამომრჩეველთაგან ადრე ნაფურთხ ლოყებზე საარჩევო ხმის გამოძალვის აშკარა სურვილით ხან ვის ლოშნიან და ხან ვის, ცხადია, რომ მოსასყიდ ფულთან ერთად მოსასყიდი ხვევნა-კოცნაც ბარაქიანად აამუშავეს.

თანაც გზადაგზა ათას უბედურებას უგონებენ თავისი ჭკუით ევროპის გამკვირვებელი დემოკრატიის მშენებელ „ოცნებას“ და ფარული გვირაბი გაჰყავთ სახელმწიფოსგან განდგომილ პრეზიდენტ მარგველაშვილისაკენ, რომელიც, ალბათ, ბოკერიასა და ჩერგოლეიშვილსაც (რა თვალმიმტაცი წყვილია!) აიყვანს თავის მთავარ მრჩევლებად (ეტყობა, მარტო თავის ჭკუა მთლად არა ჰყოფნის!), რადგან, როგორც ჩანს, ნაციონალებთან კურკური ჯერჯერობით კარგადა აქვს დაცდილი.

ამის თქმის საფუძველს კი აგერ ახლა კორცხელში მიბერტყილ-შებერტყილი ბოკერიას პრეზიდენტის სასახლეში ზარზეიმული ვიზიტი გვაძლევს. ეტყობა, სწორედ ნაკორცხელელი მაღლამხედი ბოკერიას რჩევით მოიშველიია ნადირაშვილის ქალმა წინასაარჩევნო მაშველ რგოლად კორცხელი და „მეოცნებე“ კალაძეს მრავალვოლტიანი ტყუილი დაჰკრა, თითქოს მან „კალაბანკიდან“ გადაურიცხა ორ ანტინაციონალ სპორტსმენს (გეგეშიძესა და გიგაურს) სასამართლოს მიერ ნაციონალების მიბეგვისათვის მისჯილი ფულადი თანხა, რაც უმალვე გაცხადდა როგორც ნაციონალების მორიგი დემაგოგია და პროვოკაცია.

გაირკვა, რომ არავითარი ფული კალაძეს არავისთვის არ გადაურიცხავს და ნადირაანთ ქალმა ირმამ (აფსუს რა სახელს აფუჭებს) ჩვეული სარმა იხმარა: მე ქვეყნის დაქცევას დაგაბრალებ, შენ დადექი და იმართლე თავიო.

მოკლედ, ახლა მთავარია, რომ ამომრჩეველი აღარ მოტყუვდეს. ყველა ოდნავ გონიერი ადამიანისთვის ნათელია, რომ ერისა და ქვეყნის წინაშე ჯერ კიდევ ძველი ცოდვებისთვის დაუსჯელ ნაციონალებს კორცხელი კი არა, თვითონ ოდესაც ვეღარ უშველის თავის გაუკრაინელებულ ვაიგუბერნატორიანად.

ასე რომ, ამაოა მეროჭიკე გადავითბაქრაძებული მიხეილ სააკაშვილის ეს წინასაარჩევნო დემაგოგიურ-პროვოკაციული კალმასობანი.

**გურამ წიკლაური**

**⊙ „სკანდალი“**

# ამაზრზენი დემაგოგები

**ნაციონალების დემაგოგიას ბოლო არ უჩანს, რაც შესაძლოა, არჩევნებამდე კიდევ უფრო მძაფრი და ამაზრზენი ფორმით გამოვლინდეს.**

**როგორც ვიცით, ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში საარჩევნო შტაბთან განვითარებულ მოვლენებს პროკურატურა იძიებს. პასუხისგებაში მიცემული არიან ის სპორტსმენებიც, რომლებიც ნაციონალებთან დაპირისპირებაში მონაწილეობდნენ. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ნაციონალებს გამჩენი არ ასვენებს. გუშინ ირმა ნადირაშვილმა და ოთარ კახიძემ მორიგი „სკანდალური“ ინფორმაცია გაავრცელეს. მათი განცხადების თანახმად, თითქოს ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ წინასწარ დაგეგმა პროვოკაცია და ამისთვის წინასწარ ჩაურიცხა ფული სპორტსმენებს...**

„ალფა ბანკში“ გახსნილ ანგარიშებზე კორცხელის ინციდენტში მონაწილე სპორტსმენების - ვლადიმერ გეგეშიძისა და გიორგი გიგაურის სახელზე „კალა კაპიტალ ლიმიტედისგან“ და რუსეთში მცხოვრები დავით ქარსელაძისგან იგივე „კალატოზასგან“




გარკვეული თანხა გადაირიცხა, — ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა ირმა ნადირაშვილმა და ოთარ კახიძემ განაცხადეს.

მათი მტკიცებით, თითქოს თავიდანვე წარმოადგინეს აღნიშნულ ძალადობრივ ჯგუფთან ვიცე-პრემიერ კახა კალაძის უშუალო კავშირის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი. „აღნიშნულს ადასტურებდა როგორც მოძალადეთა კავშირები ვიცე-პრემიერთან და „ქართულ ოცნებასთან“, ისე თავად კალაძის რეაქცია და უშუალოდ მისი განცხადებები კორცხელის ძალადობის შეფასებისას, კერძოდ, იგი ამართლებდა თავდასხმას, ცდილობდა, ძალადობის მსხვერპლი წარმოეჩინა დამნაშავეებად და ხელს აფარებდა თავდამსხმელებს. გარდა ამისა, თითქმის ყველა თავდამსხმელი დაკავშირებულია იმ სპორტკლუბთან, რომელსაც უშუალოდ ბატონი კალაძის ცოლისძმა მართავს“, — აცხადებენ ნაციონალები. მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია თითქოს აღნიშნულ კავშირს უტყუარად ადასტურებს:

**რუსული სააქციო საზოგადოება „ალფა ბანკის“ მხრიდან 31 მაისს გაცემული ოფიციალური წერილების №0978-NRBI017 და №0979-NRBI017 - თანახმად, რომელსაც ხელს აწერს ბანკის მთავარი ფინანსური ოფიცერი მარია შევჩენკო, ირკვევა, რომ კრიმინალურმა ავტორიტეტმა დავით ქარსელაძემ, იგივე „კალატოზამ“„ალფა ბანკში“ ორი ანგარიში გახსნა კორცხელში „გამოჩენილი“ ორი მოძალადის ვლადიმერ გეგეშიძისა და გიორგი გიგაურის სახელზე.**

**ერთი დოკუმენტის მიხედვით, თავდასხმამდე 4 დღით ადრე, 2016 წლის 17 მაისს, 16 საათსა და 08 წუთზე, „კალა კაპიტალ ლიმიტედისგან“ ვლადიმერ გეგეშიძის ანგარიშზე გადაირიცხა 15 000 (თხუთმეტი ათასი) აშშ დოლარი, ხოლო დავით ქარსელაძის, იგივე კალატოზასგან 17 საათსა და 54 წუთზე გადაირიცხა 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარი.**

**მეორე დოკუმენტის თანახმად, იმავე დღეს, 16 საათსა და 37 წუთზე, „კალა კაპიტალ ლიმიტედისგან“ გიორგი გიგაურის ანგარიშზე გადაირიცხა 10 000(ათი ათასი) აშშ დოლარი“. საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ დავით ქარსელაძე არის ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი — ამჟამად რუსეთის მოქალაქე, რომელიც 2000-იან წლებში საქართველოდან რუსეთში გადაბარგდა. მისი ძმა, ასევე ყოფილი მოჭიდავე, ვასილ ქარსელაძე, კახა კალაძის უშუალო ლობირებით სულ ცოტა ხნის წინ აირჩიეს თბილისის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად და ასევე მონაწილეობს აღნიშნულ დანაშაულებრივ სქემაში. წარმოდგენილი დოკუმენტები მიუთითებენ ვიცე-პრემიერ კალაძის უშუალო კავშირზე კრიმინალურ სამყაროსთან და აგრეთვე მის სავარაუდო მონაწილეობაზე კორცხელში ორგანიზებული ძალადობის დაკვეთასთან, ანგარებითი მოტივით“,**— აღნიშნა ირმა ნადირაშვილმა.

**თუკი ნაციონალების ინფორმაციას ბრმად მივენდობით, მაინც უამრავი ლეგიტიმური კითხვა იბადება: იქნებ, სულაც ვერ განეხორციელებინათ სპორტსმენებს პროვოკაცია, ფულს წინასწარ რისთვის უხდიდნენ?! მეორეც, როცა ასეთი კრიმინალური ფაქტი იგეგმება, ნუთუ სხვა უფრო სანდო არხები არ არსებობს ამგვარი სპეკულაციის დასაგეგმად?! ან სულაც ხომ შეიძლება გადარიცხვები აბსოლუტურად სხვა მიზეზს უკავშირდებოდეს?! ვინ დაამტკიცებს ამას და როგორ?**

ჩვენ შევეცადეთ თავად კახა კალაძისგან მოგვესმინა კომენტარი, მაგრამ როგორც ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო კიკაჩეიშვილმა გვითხრა, ამ თემაზე სერიოზული კომენტარის გაკეთებას არ აპირებს. რაც შეეხება პარტია „ქართული ოცნების“ პრესსამსახურის ანი გოშაშვილის განცხადებას, მან ამ აჟიოტაჟს სრულიად არასერიოზული უწოდა: **„ეს არის ძალიან არასერიოზული ინფორმაცია. თუკი პარტიაში გადაწყვეტენ რაიმე ოფიციალური განცხადების გაკეთებას, შეგატყობინებთ. თუმცა, ამ ეტაპზე მსგავსი არაფერი იგეგმება“,** — დასძინა მან. ფულის ჩარიცხვის ფაქტს უარყოფენ თავად სპორტსმენები. **„ბანკთან შეხება არ მქონია. რა ფულზეა საუბარი, წარმოდგენა არა მაქვს, სრული აბსურდია, რასაც ესენი ამბობენ“,** — ასე გამოეხმაურა ამ ფაქტს ვლადიმერ გეგეშიძე. დოკუმენტაციის ავთენტურობაში ეჭვი შეაქვს სპორტსმენების ადვოკატს: **„ერთი შეხედვით ჩანს, რომ ეს დოკუმენტი არის ქსეროასლები, საიდან აიღეს, ვისგან და როგორ, ეს ცალკე ინტერესის საგანია, მაგრამ, როგორც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აცხადებს, მის პირად ანგარიშზე ამ პერიოდში არანაირი თანხა არ ჩარიცხულა“,** — აღნიშნავს ადვოკატი.

ჭორია თუ მართალია, სამწუხაროდ, ამის დადგენას დრო სჭირდება, თუ, რა თქმა უნდა, სამართალდამცავები ამის სრულფასოვან გამოძიებას ზოგადად საჭიროდ მიიჩნევენ. რაც შეეხება მოპასუხე მხარეს, „ქართულ ოცნებას“ ამგვარ გამოხტომებზე უფრო მკაცრი რეაგირება მართებს, რადგან საზოგადოება ადვილად იჯერებს იმას, რაც მედიით შუქდება, ხოლო ამაზე მოკლე კომენტარი, რომ „ეს სერიოზულია“, ვგონებ, სრულიად არასერიოზულია... **თუკი ვინმე სიყალბის და სიცრუის ტირაჟირება ეწევა, სათანადოდ უნდა დაისაჯოს კიდეც, ან არადა, არგუმენტირებული პასუხი მაინც უნდა გაეცეს.**

**ნია ფიფია**

## „კალა კაპიტალ ლიმიტედის“ პასუხი ნაციონალურ მოძრაობას

**„კალა კაპიტალ ლიმიტედი“ „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებას პასუხობს. განცხადებას კომპანიის დირექტორები ავრცელებენ.**

**„ჩვენ, „კალა კაპიტალ ლიმიტედის“ დირექტორები — ჯორჯ ათანასი და სუზან კალოგრეიდსი ვაცხადებთ, რომ კომპანიას შექმნის დღიდან არასდროს საოპერაციო-საბანკო ანგარიში კვიპროსში ან სხვა რომელიმე ქვეყანაში არ ჰქონია, შესაბამისად, არანაირი გადარიცხვა კომპანიის მიერ 2016 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა. აგრეთვე, არ გაცემულა მესამე პირებზე უფლებამოსილება საბანკო ანგარიშის გახსნასთან დაკავშირებით“, — ნათქვამია განცხადებაში.**

# თსუ-ში ზვიად გამსახურდიას სახელობის აუდიტორია გაიხსნა

**საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელობის აუდიტორია გახსნა და საჯარო ლექცია წაიკითხა.**

საჯარო ლექციაზე „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ“ გიორგი მარგველაშვილმა ქვეყნის 25-წლიანი დამოუკიდებლობის განმავლობაში საზოგადოების წინაშე მდგარ ამოცანებზე, პოლიტიკურ პროცესებში თითოეული მოქალაქის ჩართულობაზე და დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე ისაუბრა.



როგორც გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტებთან საუბრისას განაცხადა, დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ არ წავა არჩევნებზე და არ მიიღებს ამ პროცესში მონაწილეობას.

**— თუ არჩევნებში მონაწილეობით არ აიღებ სახელმწიფოზე პასუხისმგებლობას, შენ დაკარგავ თავისუფლებას,** — დასძინა პრეზიდენტმა.

# „გაზპრომი“ ქართულ კომპანიას 100 მილიონ კ/მ გაზს მიაწვდის

**რუსულმა „გაზპრომმა“ ქართულ კომპანიასთან ხელი მოაწერა კონტრაქტს საქართველოში გაზის მიწოდების შესახებ.**




როგორც გაზპრომის განცხადებაშია ნათქვამი, შესაბამის დოკუმენტს 16 ივნისს, პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, გაზპრომის პრეზიდენტმა ალექსეი მილერმა და ქართული კომპანია „газко+“-ის კომერციულმა დირექტორმა გიორგი მამალაძემ მოაწერეს ხელი.

კონტრაქტის თანახმად, მიმდინარე წელს „გაზპრომი“ კომპანია „გაზკო“+-სს 100 მილიონ კუბურ მეტრამდე გაზს მიაწვდის.

კონტრაქტის მოქმედების ვადა მიმდინარე წლის 1 ივლისი-31 დეკემბერია.

# „კარვების რევოლუცია“, ანუ ლენინიდან მიშამდე

14 ივნისს ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე, რომელიც ტექნოპარკის კონფერენცდარბაზში გაზეთების, საინფორმაციო სააგენტოებისა და რადიოს ჟურნალისტებისთვის გაიმართა (და ელექტრონული პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გაცილებით შინაარსიანი და მრავალფეროვანი იყო) „ჯორჯიან თაიმსის“ დამფუძნებელი მახლაზ გულაშვილი მასპინძელს შეეკითხა (რჩევას ჰგავდა უფრო): უპრიანი ხომ არ იქნებოდა, მთავრობას გაეძლიერებინა პოზიტიური მოვლენების გაპიარება, რომლებიც რეალურად ახალი ხელისუფლების მიერ არის ფუძეჩაყრილი და განხორციელებული?

იმ ფონზე, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით სისტემატურად გვესმის უპირატესად კეთილმოსურნეთაგან, ბატონ ბიძინას უარყოფითი პასუხი მოულოდნელი იყო.

არაო, თქვა მან: რადგან შეიძლება დავემსგავსოთ სააკაშვილს, რომელიც პიარით ისე იყო გართული, რომ ერთსა და იმავე ობიექტს შვიდჯერ საზეიმოდ ხსნიდა სხვადასხვა კუთხიდან.

მიშა, რომელიც საკუთარ თავს დავით აღმაშენებელს ადარებდა.

მისი პასუხის დედააზრი ასეთია: მთავარია საქმის კეთება, სიახლეს და სიკეთეს ხალხი თვითონ დაინახავს და შეაფასებს.

ეს რეპლიკაც მიხეილ სააკაშვილის პიარმოღვაწეობას ეხება, ოღონდ ამჯერად უკრაინაში.

მაშ, ყურადღება!

ცნობილმა უკრაინელმა ოლიგარქმა იგორ კოლომოისკიმ მიხეილ სააკაშვილს თავის დროზე „უალიკაპო ძაღლი“ და „ჟღვინტიანი ნარკომანი“ უწოდა:

„უალიკაპო ძაღლი ვინმეს რომ დაკბენს, უნდა დაისაჯოს ძაღლიც და, რაც მნიშვნელოვანია, პატრონიც. ძაღლებს დააძინებენ და წამლავენ. ჩვენ შემთხვევაში კი ფასდადებით უნდა გაიგზავნოს საქართველოში, რათა პასუხი აგოს იქ დაკბენილ ადამიანებზე... უაზრობაა მოვკითხოთ ჟღვინტიან ნარკომანს პასუხი, სანამ ნარკოდამოკიდებულებისგან გასათავისუფლებელ მკურნალობის კურსს არ გაივლის“.

ეს ითქვა შარშანდელ შემოდგომაზე. მაგრამ, რადგან უკრაინის ხელისუფლებამ კოლომოისკის რჩევა არ გაითვალისწინა, მიხეილმა გადაწყვიტა თავად მიეხედა თავისი სულიერი და ფიზიკური გადახრებისთვის და სულ რამდენიმე დღის წინათ ქალაქიდან მოშორებით დასცა კარავი, იქ დასახლდა და ეს მოვლენა სიხარულით აცნობა მთელ უკრაინას ამ უბადლო გამპიარებელმა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტის „კულტმასავიკის“ დონისამ: დოლ-გარმონი და ცხელი ტაში!

გამოვიდა რა, ესეც ლიბიის ყოფილი ლიდერი, მუამარ ბენ მუჰამედ აბუ მენიარ აბდელ სალამ ბენ ჰამიდ ალ-კადაფი, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის დედაქალაქში ვიზიტად ჩასული თან დაათრევდა თავის ძვირფას ბედუინის კარავს, გაშლიდა და იქ ცხოვრობდა თავის ხოშზე.

რას არ იტყვიან!

ჯერ ერთი, მიშა მუამარი არ არის, ბედუინიც არ იქნება, რადგან სათამაშო ცხენის გარდა სხვა ოთხფეხა ცხოველზე არ მჯდარა. არაბული ჯიშისაზე — მით უფრო.

დავიჯეროთ, რომ არც ნარკომანი არ არის და არც ჟღვინტიანი?! ხოლო კარავში ნორმალური პარამეტრებიდან ამოვარდნილი ბოდვითი იდეების დასამშვიდებლად კი არ ჩასახლდა, არამედ კორუფციის აღმოსაფხვრელად ცალკე აღებულ ოდესა-რენის ავტომაგისტრა-




ლის არეალში წლევანდელი შემოდგომის დადგომამდე, როცა საქართველოში შემოდგომის მოსაბეზრებელი წვიმა იწყება, უკრაინაში კი — აცივება.

რატომ კარავში და რატომ მაინცდამაინც შემოდგომამდე?

1917 წლის ოქტომბრის (შემოდგომის) ბოლშევიკური გადატრიალების კვალზე და ლენინის, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, რაზლივის ტბასთან ჩადგმული კარვის მაგალითზე.

მსოფლიო მასშტაბზეა ლაპარაკი, რადგან ნაცების ნარჩენების თავგადაკლული მტკიცება, რომ მიშა „რეგიონული მასშტაბის ლიდერია“, აშკარად ხელს არ აძლევს „დემოკრატიის ყოფილ შუქურას“, დიდ რეფორმატორსა და ხელისუფალს, რომლის მსგავსი საქართველოს დავით IV აღმაშენებლის შემდეგ არ ჰყოლია.

ჩალის კარავი გაუთიბავ მინდონში ჩაუდგეს ილიჩსა და ზინოვიევს. მთიბავი ფინელების როლი უნდა ეთამაშათ რევოლუციის ამ წინამძღოლებს. მაგრამ ვლადიმერ ილიჩს თიბვისა არა გაეგებოდა რა, ზინოვიევს კი — ეზარებოდა. ყველაფრისმცოდნე და ყველაფრის შემძლე ლენინს ცელის მოქნევა რომ არ შეეძლო, ხალხს როგორ გაუმხელდნენ, ან იმის თქმას ვინ გაბედავდა, რომ ხალხის თვალს გარიდებული წყვილი სიამტკბილობით ატარებდა დროს ბუნების წიაღში. ფაქტს — ლენინი მარტო რომ არ ცხოვრობდა კარავში, ედო გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“.

ლენინისგან შექმნეს რევოლუციის გმირის ხატება, რომელმაც მარტომ განვლო ცეცხლოვანი გზები, გააპო ზღვები და... დაივანა რაზლივის კარავში.

მარტომ და ერთადერთმა.

მიხაილ ლენინოვიჩ სააკაშვილმა ეს როლი თვითონვე მოირგო.

უკრაინაში შეიძლება დაუჯერონ

საქართველოში — არა, რადგან ნასწავლი გვაქვს შერეკილების გაკვეთილი, როცა ნოშრევან ხუსკივაძის „ნეო-ნერვო-კლინიკის პაციენტებმა გნოლიძემ, ლორიამ, ჩილაჩავამ, სიმონგულოვმა და ტყეშელაშვილმა ჩალის კარავში მოაწყვეს შეთქმულება“, რომელიც დამთავრდა იმით, რომ „კარპეზა დენიაგმა (ნოშრევანის კაცმა) დროზე უცვალა გეზი შეთქმულებას, სხვა მსვლელობა მისცა და ოყნებს დაუკავშირა — ამ საქმეში თავადაზნაურობასთან გათანაბრება მოითხოვა.

ამასობაში ალმასას და მაისას კარავი შემოეჭამათ.

თავსხმა წვიმაში კი შეთქმულება ჩვენში ინტერესს კარგავს“ *(რეზო გაბრიაძე).*

მიხეილის მიდრეკილებაც „რევოლუციური კარვებისადმი“ ისევე გაქრება და ჩაიფუშება, როგორც რაზლივში დაბადებული იდეები.

რუსეთში ხუმრობენ: რევოლუციური პეტერბურგის დათვალიერება აუცილებლად უნდა დაიწყოთ ლენინის კარვით რაზლივის ტბასთან.

მიხეილ ლენინოვიჩის რეფორმატორული გზასავალის პირველი პუნქტი კი აუცილებლად იქნება ოდესა-რენის ავტომაგისტრალის 32-ე კილომეტრზე ნაჩალიჩარი კარავი.

საქართველოში ასეთი კარავი აღარ არსებობს, რადგან, როგორც რეზო გაბრიაძემ „შერეკილებში“ გვითხრა, „ალმასას და მაისას (ჩალის) კარავი შემოეჭამათ“ *(„შერეკილები“).*

უკრაინაში რა მოხდება, არავინ იცის. გამორიცხული არ არის, ისევე, როგორც საქართველოში „საპრეზიდენტო საველე ტრიბუნა“ ჰქონდა ზურგზე მოკიდებული, იქაც ადგილიდან ადგილზე, სადაც კი ბარს დაკრავენ, თავისი ეს კარავი თან ათრიოს, როგორც რევოლუციური რეფორმატორობის არნახული ინოვაცია.



ჩვენთან, აქ არქიტექტორობა არ გამოუვიდა, ეგებ, უკრაინაში „პრორაბობას“ — სამუშაოთა მწარმოებლის ამპლუას გამოჰკრას ხელი...

**არმაზ სანებლიძე.**

**P. S.**

**ამ ფონზე** ჟირინოვსკის გესლიანი სარკაზმიც კი გასაგები ხდება: „მიეცით უკრაინა სააკაშვილს და წესრიგი დამყარდება, ისე კი — ბარდაკია“.

**ა.ს.**

# სისულელის „სრული ვარსკვლავეთი“

**საქვეყნოდ** ცნობილი კინოთავგადასავლის „ვარსკვლავური ომების“ გმირმა დართ ვეიდერმა, დავალეთში „სულელის დღედ“ სახელდებული დღე... ოდესის ოლქის გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილს მიულოცა.

ძირითადად ბავშვებსა და მოზარდებში პოპულარული კინოგმირის სამოსელში გამოწყობილმა კაცმა გუბერნატორად „ჩამოლაბორანტებულ“ ექს-პრეზიდენტს დართ ვეიდერად შენიღბულმა მსახიობმა საჩუქრად ვარდისფერი ბაფთით შეკრული შამფურების „თაიგული“ და მაყალი მიართვა, იუწყება kp.ru.



„ოდესის ოლქის გუბერნატორისთვის ამ საჩუქრის მირთმევა იმიტომ გადავწყვიტე, რომ მწვადების შეწვა მან სამსახურიდან მოუცდენლად — მისაღებშივე შეძლოს“, — განაცხადა დართ ვეიდერის სამოსელიანმა კაცმა, რომელსაც „ვარსკვლავური ომების“ პერსონაჟები — პატარების საყვარელი ჩუბაკა და მოიერიშეთა რაზმი ახლდა.

გასაკვირი, აბა, განა რა არის იმაში, რომ „კოსმოსური დელეგაცია“ დაცვამ ოდესის გუბერნატორის რეზიდენციაში არ შეუშვა, რის შემდეგ „ვარსკვლავურმა ელჩობამ“ ლეკური ქუჩაში იცეკვა.



## თეა წულუკიანმა დონალდ რამსფელდს იუსტიციის სახლში უმასპინძლა

**იუსტიციის** მინისტრმა თეა წულუკიანმა აშშ-ის თავდაცვის ყოფილ მდივანს, რამსფელდის ფონდის პრეზიდენტ დონალდ რამსფელდს იუსტიციის სახლში უმასპინძლა.

მინისტრმა მაღალი დონის დელეგაციას იუსტიციის სახლი დაათვალიერებინა და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში არსებული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. სტუმრები გაეცნენ იუსტიციის სახლის მუშაობის სპეციფიკას და სერვისების მიღების პროცედურებს.

დონალდ რამსფელდთან ერთად იუსტიციის სახლის ტურს ესწრებოდნენ სტივენ კამბონე — თავდაცვის მდივნის ყოფილი მოადგილე დაზვერვის სფეროში, ფრედერიკ სტარი — ექსპერტი რუსეთისა და ევრაზიის საკითხებში, ასევე, დელეგაციის 90-მდე წევრი რეგიონის 10 ქვეყნიდან და აშშ-დან.

დონალდ რამსფელდი თბილისში კავკასია-ცენტრალური აზია-ავღანეთი-მონღოლეთის რეგიონული ფორუმის ფარგლებში იმყოფება, რომელიც გუშინ დაიწყო და 19 ივნისამდე გაგრძელდება. ტრადიციულად, ფორუმის პირველი დღე ეძღვნება მასპინძელი ქვეყნის უკეთ გაცნობას. აღსანიშნავია, რომ დონალდ რამსფელდმა თავად გამოთქვა ვიზიტის პირველ დღეს იუსტიციის სახლში სტუმრობის სურვილი.

## 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მაჟორიტარული სისტემის გაუქმება დაგვიანებული მოთხოვნა იყო

NDI-ის სადამკვირვებლო მისიის წევრი პერ ეკლუნდი აცხადებს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მაჟორიტარული სისტემის გაუქმება დაგვიანებული მოთხოვნა იყო. მისივე თქმით, არსებობს მოსაზრება, რომ მაჟორიტარული ოლქების საზღვრები დარღვევით გადაისინჯა და „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ რეკომენდაციაა, გადაიხედოს ის ზომები, რის მიხედვითაც ოლქები გადანაწილდა.

NDI-ის დელეგაციის დასკვნის შესაბამისად, მთავარი და ძირითადი ელემენტები, რაც დამახასიათებელია სამართლიანი არჩევნების პროცესისთვის, საქართველოში სახეზეა.

## ბოკერიას რა ეკუთვნის, მელიებს და კურდღლებს და წიწვებს, კარგად ვიცი – ომარ ნიშნიანიძე

**საპარლამენტო** უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე დარწმუნებულია, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები მშვიდ ვითარებაში ჩაივლის. ჟურნალისტებთან შეხვედრისას დეპუტატმა კორცხელში საარჩევნო უბანზე მომხდარი ინციდენტიც გაიხსენა და განაცხადა, რომ ეს გაფრთხილება იყო და მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორდეს.

„ამ ინციდენტმა ყველას უნდა ასწავლოს ჭკუა — პოზიციას, ოპოზიციას და ყველა ორგანიზაციას. ჩვენ ვართ ქვეყანა და ყველას ერთნაირად უნდა გვიყვარდეს ეს ქვეყანა. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ხელისუფლებასაც ეკისრება და ასეთი რამ ჩვენ ან უნდა დავუშვათ. ბევრჯერ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ — ბოკერიას რა ეკუთვნის, მელიებს და კურდღლებს და წიწვებს, კარგად ვიცი, მეც და ქართველმა ხალხმა. მათ განაჩენი 2012 წელს გამოუტანა და 2016 წელსაც არ დაზარდება და იმავეს გაიმეორებს“, — განაცხადა ნიშნიანიძემ. ომარ ნიშნიანიძე არ გამორიცხავს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბარიერიც ვერ გადალახოს.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ ვინ იქნებიან ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში ბარიერს გადალახავენ, ნიშნიანიძე მიიჩნევს, რომ ეს იქნება პაატა ბურჭულაძის პარტია, „პატრიოტთა ალიანსი“, „ბურჯანაძის პარტია“ „თავისუფალი დემოკრატები“.

# გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს!

# ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!

## მეცნიერთა ჯგუფის მიმართვა ხალხს, ხელისუფლებას, ოპოზიციურ პარტიებს, მედიას, არასამთავრობო სექტორს

***ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ დაპირისპირებას და პოლიტიკური სიძულვილით სავსე, პოლიტიკურ სამთავრობებად დაყოფილ ქვეყანაში საქმიანობის მთავარ მიმართულებად მოქმედებათა ჰარმონიზაციას მივიჩნევთ და ამასვე ვუსურვებდით ქვეყნის ხელისუფლებას, ოპოზიციას, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ეს, მართლაც, საშური საქმეა. დაპირისპირება სუსტების მოგონილია, თანამშრომლობის ჰარმონიზაცია — მხოლოდ ძლიერთ ხელეწიფებათ.***

### პოზიცია

**„ეროვნული თანხმობის პარლამენტის“ შექმნის აუცილებლობის შესახებ და მისი შექმნის კონცეფცია**

**I. ზოგადი დასკვნები**

ჩვენ, მეცნიერები, ექსპერტები, პოლიტიკოსები, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთა დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ 2016 წელს ვიდექით ეროვნული ყრილობის მოწვევის აუცილებლობის სათავეებთან, შევიკრიბეთ და მეცნიერთა ფართო წრეების, საზოგადო მოღვაწეების წარმომადგენელთა მონაწილეობით დავიწყეთ ქვეყნის პოტენციალის, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლა და იმ კონკრეტული პროგრამის შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქვეყნის უდიდესი პოტენციალი.

**ორწლიანი მუშაობის შედეგად ჩვენ დავასკვენით, რომ** — ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის 25-მა წელმა არ მოგვცა ის შედეგი, რომელიც ყველასთვის სასურველი იყო. ნათელია, რომ საქართველო კატასტროფულად აგვიანებს, გახდეს სტაბილური სახელმწიფო, დღემდე არსებულმა ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყნის პოტენციალის 1— პროცენტზე მეტის ამოქმედება, ქვეყნის გარეთ, ჩვენ გამუდმებით ან საომარ მდგომარეობაში, ან წინასაომარ მდგომარეობაში ვართ, ქვეყნის შიგნით — ხელისუფლების განდევნისათვის მუდმივ ბრძოლაში, რისი პრეცედენტიც დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე ეტაპზე შევქმენით.

**ჩვენ მივაქციეთ ყურადღება** კიდევ ერთ მძიმე შედეგს: **ერთი მხრივ,** ერი, რომელიც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ერთადერთი სუვერენია, ვერაფრით გახდა ქვეყნის პატრონი, **მეორე მხრივ,** საზოგადოებამ ვერაფრით ვერ შეიძინა სამოქალაქო ღირსებისა და სამოქალაქო პროტესტის გრძნობა.

**ჩვენ დავრწმუნდით,** რომ არ შეიძლება, ქვეყნის ბედს ერთპიროვნულად განსაზღვრავდნენ პარტიული ლიდერები, რომლებმაც სამწუხაროდ, ვერ შეძლეს ამაღლებულიყვნენ ვიწროპარტიულ და ვიწროჯგუფურ ინტერესებზე.

**ჩვენ ვაღიარეთ ისიც,** რომ ამ ყველაფერში ჩვენი ბრალიცაა, პირველ რიგში — ინტელექტუალური ადამიანებისა, რომლებიც დიდი ხანია, განერიდნენ პოლიტიკას და ამით ყველა სხვას მისცეს საშუალება, პოლიტიკაში გაქცეულიყო.

**ჩვენ არ მოგვწონს გზა,** რომლითაც ქვეყანა 25 წლის განმავლობაში მიდის. დარწმუნებული ვართ, რომ საჭიროა სისტემური გარდაქმნები, ვინაიდან უკვე დაგროვდა მომაკვდინებელ საფრთხეთა მთელი კომპლექსი, რომელშიც შედის არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა. ჩვენ სერიოზულად გვაფიქრებს, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ, თანდათან ვკარგავთ ეროვნულ დამოუკიდებლობას.

**ჩვენ შევთანხმდით,** რომ ყველას მივესალმებით, ვინც კანონიერების საფუძველზე აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, ვადიანი თუ ვადამდელი არჩევნების გზით. ჩვენ ერთსულოვანნი ვართ იმაშიც, რომ არჩევნებს არ შეიძლება წარმართავდეს ქვეყანაში ამჟამად მოქმედი კანონი, რომელსაც ყოველი ახალი მოსული ხელისუფლება თითქოს აუმჯობესებს, მაგრამ როგორც დრო ადასტურებს — ირგებს საკუთარ თავზე და ეს ყოველივე უაზროს ხდის არჩევნებში მონაწილეობას.

სწორედ ამის შედეგია ამომრჩეველთა უკვე კატასტროფულად დაბალი აქტივობა. **საარჩევნო სისტემის რეფორმა აუცილებელია, რათა წარმატებით დაგვირგვინდეს ახალი საქართველოს — ნამდვილად დემოკრატიული, ეროვნული, ქრისტიანული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი.**

ჩვენ ვხედავთ იმასაც, რომ ქვეყნის წინაშე არსებული ურთულესი ამოცანების განხორციელებას მხოლოდ ხელისუფლება ან მხოლოდ პოლიტიკოსები ვერ შეძლებენ. დღეს ავანსცენაზე ის ადამიანები უნდა გამოვიდნენ, ვისი მეთოდიცაა მეცნიერული, სისტემური მიდგომა, მათ შორის რეფორმებისა და გარდაქმნების მიმართ. მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამ 25 წლის მანძილზე ხელისუფლებისათვის ბრძოლის ქუჩის პოლიტიკამ დაანაგვიანა პოლიტიკური პარტიებიც და ხელისუფლებაც, რომ პოლიტიკურ პარტიებს მიღმა, საქართველოს დღევანდელი რთული მდგომარეობისათვის სწორად მოაზროვნე გაცილებით მეტი პოლიტიკოსია, ვინემ არენაზე მყოფ პოლიტიკურ პარტიებში.

**ჩვენ არასწორად მივიჩნევთ არჩევნების წინ პარტიების** გაერთიანების **25-წლიან პრაქტიკას** და მიგვაჩნია, რომ პარტიები უნდა ერთიანდებოდნენ არა არჩევნებისთვის, არამედ არჩევნების შედეგების მიხედვით — პარლამენტში უმრავლესობის შესაქმნელად, ისე როგორც ეს ხდება დემოკრატიულ მსოფლიოში.

**ჩვენ გვინდა, ყველას ვუთხრათ: დამთავრდა ანონიმური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების დრო და დაიწყოს სოლიდარული მოძრაობა ქვეყნის გადასარჩენად. ეს მით უმეტეს საჭიროა დღეს, როდესაც არნახულად გაიზარდა გარე ძალების ზემოქმედება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, როცა გარედან, როგორც ფინანსური, ასევე პოლიტიკური, არნახული მხარდაჭერა აქვს იმ ძალებს, რომლებიც გამოირჩევიან ყალბი ეროვნული პათოსით, დემოკრატიის თამაშით, სოციალური დემაგოგიით, პოლიტიკური კორუფციით.**

**მომავლის საქართველოსათვის აუცილებლად მიგვაჩნია, დაინერგოს პრინციპი: ქვეყანას მართავს ხელისუფლება — ხელისუფლებას მართავს საზოგადოება — საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა.**

### II. დღევანდელობის კონკრეტული შეფასებები

**(ჩვენ სრულად ვეთანხმებით „ქართული ერთობის დარბაზის“ ანალიტიკურ კვლევას და შეფასებებს)**

- **გრძელდება ქვეყნის** პარტიულ სამთავროებად დაყოფა, **გრძელდება** მეგობრობით და პირადი ერთგულებით ხალხის შერჩევა, **გრძელდება** დაპირისპირება პოლიტიკაშიც და პოლიტიკის გარეთაც, **წარმოუდგენელი ტემპებით** მიმდინარეობს ინტელიგენციის გაპარტიულება; განათლების, მედიცინის, სპორტის პოლიტიზება; პოლიტიკით გამდიდრებულთა და ბიზნესინტერესების მქონე ფულიანთა გაპოლიტიკოსება; ჯარის და, საერთოდ, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა, ასევე არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების **ამომრჩეველთა ერთ პოლიტიკურ ხმად გადაქცევა.**
- **დამანგრეველია პოლიტიკური მანიით შეპყრობილთა სურვილი, პოლიტიკურ პროცესებში ჩართონ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია.**
- **ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც როგორც ჩანს, მეცენატობა პოლიტიკური დივიდენდებისათვის გამოიყენება.**

**დამაფიქრებელია, რომ: ვლაპარაკობთ ერთობაზე,** როდესაც გამოუყენებელია უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალი, არსებული როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

**ვლაპარაკობთ ერთობაზე** და ამ დროს, პრაქტიკულად, იგნორირებულია ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ადამიანთა პოლიტიკური პოზიცია. არადა, ისინი ამომრჩეველთა თითქმის 60%-ს შეადგენენ. სამწუხაროდ, არ იქნა გაზიარებული ჩვენი პოზიცია, დემოკრატიული ევროპის მსგავსად, პარლამენტში წევრები აერჩია ქვეყნის გარეთ მცხოვრებლებსაც.

**ვლაპარაკობთ ერთობაზე** და ამ დროს, პრაქტიკულად, იგნორირებულია სახელმწიფო კაცების, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების მოღვაწეთა პოზიცია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში... ისინი წლების განმავლობაში ვერ ახერხებენ ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებთან არათუ შეხვედრას, არამედ მათთვის ხმის მიწვდენას.

**ვლაპარაკობთ ერთობაზე** და ხალხს ვეძებთ მხოლოდ საკუთარ გარემოცვაში და ვეძებთ არა ქვეყნისადმი ერთგულების, არამედ პირადი ერთგულების პრინციპით.

**ვლაპარაკობთ ერთობაზე** და პარტიები დავყავით კვალიფიციურებად და არაკვალიფიციურებად 25-წლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ხელისუფლებას ვინც აწყობს, ეხმარება ყველაფრით: ხალხის ფულით დაწყებული, სახელისუფლებო რესურსით დამთავრებული. ვინც არ მოსწონს, ებრძვის ყველა ფორმით და ცდილობს მათ გამარგინალებას. დამაფიქრებელია „ქართული ოცნების“ ცალკეულ ლიდერთა მხარდაჭერის განცხადებები კოალიციაში შემავალი პარტიების და თქვენ წარმოიდგინეთ, დაშლილი „ნაციონალური მოძრაობის“ უკვე პოლიტიკური სუბიექტების მიმართ, ხელისუფლების წარმომადგენელთა და განსაკუთრებით, საინფორმაციო საშუალებების მიერ მთავარ ოპოზიციურ ძალად „ნაციონალების“ წარმოჩენა, დანარჩენების, განსაკუთრებით კი ეროვნული განწყობის პოლიტიკური ძალების იგნორირებით.

**ვლაპარაკობთ ერთობაზე** და ვებრძვით პრესისა და ტელევიზიის თავისუფლებას. ჩვენ ეროვნულ სირცხვილად მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ძირითადი ტელევიზიებისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების უკან დგანან პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკოსები, პოლიტიკით გამდიდრებულნი. რეალობა ადასტურებს, რომ, პრაქტიკულად, არ არსებობს პოლიტიკური გავლენისაგან თავისუფალი რეგიონული ტელევიზია თუ მედიასაშუალება.

**ვლაპარაკობთ ერთობაზე** და მთელი საინფორმაციო სივრცე, მეტიც, საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფერო გაჯერებულია სიძულვილის ენით, აგრესიით, ურთიერთზიზღით განსხვავებული პოზიციის პოლიტიკოსებსა და მათ გუნდებს შორის. პოლიტიკოსები ნაცვლად ერთმანეთთან საუბრისა, ერთმანეთზე ვლაპარაკობთ.

**ვლაპარაკობთ ერთობაზე** და პოლიტიკური ლიდერები ხელისუფლებაში თუ ხელისუფლების გარეთ გაცილებით მეტად აფასებენ პარტიიდან პარტიაში მორბენალთ, პირდაპირ ვთქვათ, მოღალატეებს. დღეს ღალატი პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად იქცა. მრავალპარტიული პარლამენტის ნაცვლად , **უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე ჩვენ ვიღებთ არა მრავალპარტიულ პარლამენტს, არამედ მრავალპარტიულ პარლამენტარებს.**

**ასეთია რეალობა, რეალობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდისაგან. ჩვენ ამას ვაფასებთ, მაგრამ წინა ხელისუფლებაზე უკეთესი არ ნიშნავს იმ ხელისუფლებას, რომელსაც იმსახურებს საქართველო და ქვეყნის მოსახლეობა. არც ხელისუფალთა ის დაჟინებული ხაზგასმა გვაიმედებს — რაც შეგვიძლია, ვაკეთებთო. ყველას გასაგონად კიდევ ერთხელ ვამბობთ: საჭიროა ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის შესაძლებლის მაქსიმუმზე იმუშავებს.**

### III. კოჰაბიტაცია თუ ეროვნული ერთობა?

ეროვნული თანხმობა ეს არის სრულიად საპირისპირო, ვინემ დღეს არსებული პარლამენტის მიერ დაკანონებული კოჰაბიტაცია. ეროვნული თანხმობის უპირველესი მიზანი სამართლიანობაა. ხაზს ვუსვამთ, სამართლიანობა და არა სამართალი. სამართლიანობა ზნეობრივისა და სამართლებრივის ერთობლიობაა, ზნეობრივის პრიმატით. კოჰაბიტაცია — ეს არის ზნეობრივის უგულებელყოფა და სამართლებრივი კომპრომისი.

**როცა ჩვენ ვფიქრობთ „ეროვნული თანხმობის პარლამენტზე“ სამართლიანობის გზით, ეს უპირველესად, ნიშნავს:**

- ხალხმა დაიბრუნოს პოლიტიკოსების მიერ მისთვის წართმეული ქვეყანა.
- შეცდომად და დანაშაულად შეფასდეს 1991 წლის შეიარაღებული დაპირისპირებადა ე.წ. „ვარდების რევოლუცია“.
- გასამართლდეს დღემდე არსებული ყველა რეჟიმი, „ნაციონალურის“ ჩათვლით.
- ქვეყანაში იყოს არა ე.წ. ბელადებისა და ფულიანთა ძალაუფლება, არამედ ნიჭის ძალაუფლება.
- გარანტირებული იქნას: სიცოცხლის უფლება, განათლების უფლება, სიტყვის თავისუფლება, საკუთრების უფლება, მისწრაფება უკეთესი ცხოვრებისაკენ.
- დღეს არსებული ბრძოლა არსებობისათვის, შეიცვალოს საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზაციით.

**ეს ფუნდამენტური საკითხები დასტურია იმისა, რომ ეროვნული თანხმობა და კოჰაბიტაცია თვისობრივად არსებითად განსხვავებული მოვლენებია. პირველი — აღმშენებელი, მეორე — დამანგრეველი.**

აქვე ვამბობთ:

**სამართლიანობა ვერ იქნება,** თუ ამ არჩევნებზე ყველა პოლიტიკურ პარტიას არ ექნება ერთნაირი სასტარტო მოედანი. სასტარტოს შემთხვევით არ ვამბობთ. **ჩვენი აზრით, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მთავარი პოლიტიკური მიღწევა არის ის, რომ საქართველოში პირველად ხდება, როცა პარტიები არჩევნებზე მიდიან დამოუკიდებლად, ყოველგვარი კოალიციების გარეშე, ანუ ისე, როგორც ეს ხდება ევროპაში, მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში.**

**არც სამართლიანობა და არც ერთობა იქნება,** თუ ძველმოდურად გავაგრძელებთ სახელმწიფო მოღვაწეების, წარმატებული ბიზნესმენების ნებით, ხათრით თუ იძულებით პარლამენტში შეყვანას. ეს არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ ხდება და მათი შეურაცხყოფა უფროა, ვინემ დაფასება. დავაკვირდეთ, პარლამენტში შესული ხელოვნებისა და სპორტის ცნობილი მოღვაწეები ღირებულ პარლამენტარებად ვერ ჩამოყალიბდნენ, ხელოვნებამ და სპორტმა კი ამით ბევრი დაკარგა. ვხედავთ, როგორ ძლიერდება ხალხში ნეგატიური დამოკიდებულება პარლამენტში შესულ ბიზნესმენთა მიმართაც.

**ერთობა არის იმ ქვეყანაში, სადაც არის ნიჭის ძალაუფლება, სადაც პატივს მიაგებენ ძლიერს და იცავენ სუსტს.**

**ერთობა არის იქ,** სადაც გაცნობიერებული აქვთ **ბიბლიური სიბრძნე: მთავარში — ერთობა, სადავოში — თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში — სიყვარული.**

**სწორედ ამიტომ ჩვენ ვამბობთ:**

ჩვენ შეიძლება ბევრი რამით განვსხვავდებოდეთ ერთმანეთისგან: ასაკით, მსოფლმხედველობით, მრწამსით, ეროვნული კუთვნილებით, სოციალური მდგომარეობით, პოლიტიკური პოზიციით, **მაგრამ მთავარში, სამშობლოში, გვაქვს ერთობა და ერთნი ვართ იმაში, რომ ჩვენი მოქმედების საფუძველი სიყვარულია.**

## IV. რა გვინდა ჩვენ და რას ვითხოვთ ხელისუფლებისა და მომავალი პარლამენტისაგან

**უპირველესი და უმთავრესი:**

დასაძლევია დღევანდელობის რამდენიმე, განსაკუთრებით ოთხი უმძიმესი პრობლემა: **პირველი** — მმართველი პოლიტიკური ძალის თვითკმაყოფილება; **მეორე** — ოპოზიციის უკვე გამარგინალებასთან მიახლოებული გაბოროტება.; **მესამე — საზოგადოების ინდიფერენტულობა, ანუ** საზოგადოებაში თითქმის ყველა უბედურების „მერე რა"-თი გამართლების განწყობა და **მეოთხე** — საზოგადოების ერთი ნაწილის არჩევნებზე არმისვლით ტრაბახი (დემოკრატიული სამყაროს გამოცდილება ადასტურებს, რომ სწორედ მათ მოჰყავთ ცუდი მთავრობა, ვინც არჩევნებზე საკუთარი ხმის უფლებას არ იყენებს).



## განსაკუთრებული მომავლის საქართველოსთვის:

რამდენიმე თვის წინათ ქართული ინტელექტუალური განძთსაცავის უპირველეს ციტადელში — მეცნიერებათა აკადემიაში, ჩვენ **დავადასტურეთ სამების საკათედრო ტაძარში წარმოთქმული სიტყვა „შევკრათ გათითოკაცებული სიკეთე, ბოროტების სიყვარულით დასამარცხებლად" და შემდგომი განვითარება მივეცით „ქართული ერთობის დარბაზის" მიერ 2015 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის დღეს, გელათის აკადემიის ისტორიულ კედლებში მიღებულ ზოგადქართულ დოკუმენტს, „მოქმედების მანიფესტს" — „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი , გაერთიანებული სახელმწიფო", რაც, პრაქტიკულად, არის ქართველთა და საქართველოს შვილთა, ჩვენს ნამდვილ უცხოელ მეგობართა საუკუნეობრივი ოცნება, ქართული ნაციონალური იდეა — გაერთიანებული საქართველო და სამშობლოსათვის ერთსულოვნებით შეკრული ხალხი.**

**მომავლის საქართველოსთვის გვესახება ოთხი პრიორიტეტული მიმართულება:**

**პირველი** — განათლება და მეცნიერებაა სახელმწიფოს საძირკვლის უპირველესი ქვაკუთხედი. ჩვენი წევრი და მეგობარი მეცნიერები დიდი ხანია, მუშაობენ ამ პრობლემაზე;

**მეორე** — მეწარმეობის დაცვის გარეშე, არ არსებობს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ელემენტარული იმედიც კი. დაცული მეწარმეა ქვეყნის ძლიერების ქვაკუთხედი. მეწარმე კი დაცული უნდა იყოს ინსტიტუციონალურად და არა ხელისუფალის პირადი შეხედულებებისა და ახლობლობის მიხედვით. ხელისუფლებამ მეწარმე უნდა დაიცვას თავისუფალი და პატიოსანი კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნების უზრუნველყოფით

**მესამე** — კულტურა და მეცნიერება, ეროვნული და პოლიტიკური ოპტიმიზმის საფუძველი. სწორედ ოპტიმიზმი სჭირდება ნიჰილიზმით, პესიმიზმითა და სიძულვილით გაჯერებულ ქართულ სივრცეს.

**მეოთხე** — ქართული სოფელი, როგორც ქვეყნის უძველესი კულტურული ფენომენი.

საქართველოს სჭირდება ხელისუფლება, რომელიც ზემოთ აღნიშნული ოთხი პრიორიტეტული მიმართულების საერთო-სახალხო განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს პროგრამას გარე სამყაროსთან ურთიერთობისა — ქართული ინტელექტითა და ქართული ბიზნესით, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი, ფილოსოფიური გაგებით.

## მომავლის საქართველოსათვის

- **ჩვენ გვინდა** არა მსოფლიო გლობალურ პროცესებთან დაპირისპირება, არამედ მისი ანალიზი, ამ პროცესებში გააზრებულად მონაწილეობა და არა სხვისი კარნახით, რაც მთავარია — თვითმყოფადობის შენარჩუნება.
- **ჩვენ გვინდა არა** უბრალოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა — დაკარგული ეროვნული თვითმყოფადობით, როგორც ამას სხვადასხვა სექტანტური ჯგუფები და ქვეყანაში მათი მხარდამჭერები გვკარნახობენ, არამედ რეალურად ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.
- **ჩვენ გვინდა** ფიქრი არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ მოქმედება და ცხოვრება პრინციპით: „მშვიდობა და სიძლიერე შინ და გარეთ" .
- **ჩვენ გვინდა,** რომ საქართველოს პარლამენტში, ზოგადად ხელისუფლებაში წარმომადგენლები ჰყავდეს არა მარტო საქართველოს რეგიონებს, არამედ, საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიულად, თუ ბედის უკუღმართობით, საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად გადახვეწილ საქართველოს მოქალაქე თანამემამულეებს — ისე, როგორც ეს ხდება ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში.
- **ჩვენ გვინდა** სამყაროსთან ურთიერთობა ინტელექტითა და ბიზნესით, მაგრამ შენარჩუნებული თვითმყოფადობით.




- **ჩვენ გვინდა,** რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ვაქციოთ პოლიტიკად, როგორც ეს დიდმა **დავით აღმაშენებელმა** შეძლო და შევცვალოთ პარტიებისა და პოლიტიკოსების მიერ ხელისუფლებისათვის ბრძოლის მთავარ პრინციპად დამკვიდრებული, პრაქტიკულად, ქვეყნის დამანგრეველი მოდელი — საქართველო ზესახელმწიფოთა ინტერესების დაპირისპირების ადგილი (სწორედ ადგილად გვთვლიან, რაც ძალიან სამწუხაროა).ჩვენი ამოცანაა, საქართველო გადავაქციოთ ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესზე სხვა სახელმწიფოთა, მათ შორის, ზესახელმწიფოთა ინტერესების ზედდების ქვეყნად.

ყველაფერი ეს რთულია და ძნელზე ძნელი, მაგრამ შესაძლებელი.

**ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ დაპირისპირებას და პოლიტიკური სიძულვილით სავსე, პოლიტიკურ სამთავროებად დაყოფილ ქვეყანაში საქმიანობის მთავარ მიმართულებად მოქმედებათა ჰარმონიზაციას მივიჩნევთ და ამასვე ვუსურვებდით ქვეყნის ხელისუფლებას, ოპოზიციას, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ეს, მართლაც, საშური საქმეა. დაპირისპირება სუსტების მოგონილია, თანამშრომლობის ჰარმონიზაცია — მხოლოდ ძლიერთ ხელეწიფებათ.**

**ჩვენი პოზიცია უცვლელია: დაპირისპირებით და ზიზღით სავსე პოლიტიკური სივრცე სათნოებით და სიყვარულით უნდა შეიცვალოს, კონფრონტაცია პრინციპულობამ უნდა შეცვალოს... ჩვენ ჰარმონიზაციის რთულ და ძნელ გზას ვირჩევთ.**

**ჩვენ ასე ვხედავთ ქვეყნის მომავალს და ამისთვის მთავარია არა პარტიათა საარჩევნო კოალიციები, არამედ მათი თანამშრომლობა „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის", პიროვნებათა პარლამენტისათვის, განსხვავებულთა ერთობის პარლამენტისათვის.**

**მიგვაჩნია, რომ პარტიებს მიღმა გაცილებით მეტია ქვეყნისთვის საჭირო პროფესიონალი პოლიტიკოსი, ვინც ხელისუფლებაში ყოფნის დროს შეინარჩუნა წესიერება და პატიოსნება, კორუფციის ეპოქაშიც კი გაუძლო ყოველგვარ ცდუნებას და, რაც მთავარია, ოპოზიციაში ყოფნის დროს, არ გაბოროტდა და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, სწამს და სჯერა, რომ არ შეიძლება პოლიტიკის ბიზნესად ქცევა, ხელისუფლებაში ბიზნესინტერესებით ყოფნა.**

**ჩვენ,** პოლიტიკურ პარტიებს გვჭირდება თანამშრომლობა არა პოლიტიკური ფრაქციების შექმნისათვის, არამედ დასხდომა მრგვალ მაგიდასთან, **აღიარება იმისა,** რომ ქვეყნის დღევანდელი და ხალხის გაუსაძლისი მდგომარეობა სწორედ ჩვენი ბრალია; **აღიარება იმისა,** რომ ამ წლებმა ჩვენში სერიოზულად გააჩინა ზნეობის დეფიციტი და არაერთი ზნეობრივი პროფესიონალი პოლიტიკოსი გარიყა. **აღიარება იმისა,** რომ პარტიებს გარეთ გაცილებით მეტია ქვეყნისთვის მომართული, ძლიერი პოლიტიკოსი, ვინემ ჩვენს შორის, ჩვენი ამოცანაა, ვიფიქროთ ასეთი ადამიანების პარლამენტზე.

**ჩვენ მივმართავთ პოლიტიკური პარტიებს ასეთი თანამშრომლობის თაობაზე.**

**ჩვენ, ასეთი პოზიციით ვერთვებით საარჩევნო პროცესში. ჩვენი მთავარი დოკუმენტი იქნება ერთი მხრივ, ქვეყნის პოტენციალის ანალიზი, მეორე მხრივ, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მეცნიერული ანალიზი და რაც მთავარია, პროგრამა — ასეთ ვითარებაში მყოფ ქვეყანაში როგორ ავამოქმედოთ მისი პოტენციალი.**

## V. კონკრეტული წინადადებები მოქმედებისათვის

1. ყველგან იყვნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები და ზნეობრივი ადამიანები. **ზვიად გამსახურდიას გარემოცვაშიც, ედუარდ შევარდნაძის პერიოდის პარლამენტებშიც, ასლან აბაშიძესთანაც, მიხეილ სააკაშვილთანაც, ბიძინა ივანიშვილთანაც.** დღევანდელ ხელისუფლებაშიც.

ჩვენი ამოცანაა, საზოგადოებასთან ურთიერთობაში შევძლოთ ასეთი ადამიანების სახელისუფლებო არენაზე გამოსვლა.

2. **ივლისისათვის** ჩვენ გვექნება ცნობილი მოღვაწეების — მეცნიერთა, ხელოვანთა, პედაგოგთა, ექიმთა, სპორტსმენთა მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც დავადგენთ, ვინ არიან ის პოლიტიკოსები, რომელთა გარეშე მათ ვერ წარმოუდგენიათ საქართველოს პარლამენტი.

3. **ჩვენი პოზიცია პრინციპულია:** იმის გათვალისწინებით, რომ ამომრჩეველთა თითქმის ნახევარზე მეტი გასულია ქვეყნის გარეთ და ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც დიდწილად უნდა ვუმადლოდეთ, რომ თუნდაც უარეს მდგომარეობაში არ ვართ — მიგვაჩნია, რომ მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება საქართველოს პარლამენტში ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები. ჩვენი ამოცანაა, გავაგრძელოთ დიდი ხნის წინ დაწყებული ეს საქმე და **10 ივლისამდე მოვიძიოთ ისეთი ადამიანები, რომლებსაც კარგი ურთიერთობა აქვთ იმ ქვეყნების მოსახლეობასთანაც, ხელისუფლებასთანაც და დიასპორაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ.**

**4. ჩვენი მუშაობის შედეგებს, საზოგადოებას 15 ივლისამდე წარვუდგენთ. პარალელურად ვიწყებთ მუშაობას პოლიტიკურ პარტიებთან და მიგვაჩნია, რომ ურთიერთკომპრომისებით შევძლებთ ეროვნული თანხმობის, ხალხის ნდობით აღჭურვილი პარლამენტის ფორმირებას. ეს დიდი ქართული გამარჯვება იქნება.**

ჩვენ ამის იმედი გვაქვს და თუ ეს არ შედგა, ხალხს ჰქონდეს იმის იმედი და რწმენა, რომ ჩვენ, საქვეყნოდ მომართულ ადამიანებთან ერთად შევქმნით ახალ პოლიტიკურ გუნდს.

## დასკვნის სახით

**დღეს საქართველოს სჭირდება:**

- **არა მოლაპარაკეთა , არამედ კანონშემოქმედთა პარლამენტი.**
- **არა ურაპატრიოტთა და არა გლობალისტთა, არამედ ქართული ცნობიერების პლანეტარულად მოაზროვნე პოლიტიკოსთა პარლამენტი**
- **დღეს საქართველოს სჭირდება პიროვნებათა პარლამენტი**

დღეს საქართველოს სჭირდება არა გარედან მართვად პარტიათა და პოლიტიკოსთა , არამედ ქვეყნის ინტერესების, ქვეყნის მოსახლეობის მსახური პარლამენტი.

დღეს საქართველოს სჭირდება ისეთ ხელისუფლება და ოპოზიცია, ისეთი მედია და არასამთავრობო სექტორი, რომელიც ჭკუას კი არ ასწავლის ხალხს (ეს მისგან უნდა ისწავლონ) , არამედ ემსახურება მას — ხალხს, ქვეყნის ჭეშმარიტ პატრონს!

ქართული და მხოლოდ ქართული გზა ! ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს — ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!

**ყალბი და არაქართულია ქვეყნის გარეთ მხსნელის ძებნა. გარეთ მხოლოდ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა პატრონები. საქართველოს მსახური ცუდი ხელისუფლებაც კი ათასგზის სჯობს გარედან მართულ და გარედან ნაქებ-ნადიდებ ხელისუფალთ!**

დავიხსნათ თავი 25-წლიან გარედან მართვისაგან. ავირჩიოთ განათლებულ და რწმენით სავსე ადამიანთა ხელისუფლება.

ჩვენ დღეს ამ დიდ ქართულ პროცესს ვიწყებთ. ქართული არასდროს ნიშნავდა ჩაკეტილობას. ქართული ყოველთვის იყო ნაზიარები პლანეტარულთან.

ჩვენ ვიწყებთ დიდ ქართულ პროცესს და მთავარია, არ დავივიწყოთ და მუდამ გვახსოვდეს, რომ დუმილი დღეს ქვეყნის ღალატის, საკუთარი ღირსების დაკარგვის ტოლფასია!

მხოლოდ ღირსეულ ადამიანებს შეუძლიათ დიდი მომავლის საქართველოს შექმნა!

ღია ვართ თანამშრომლობისათვის!

## მოქმედების დროა!

**მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის სახელითა და 15 ივნისს სასტუმრო „თბილისი მერიოტის" საკონფერენციო დარბაზში შეკრებილთა დავალებით,**

პროფესორი
**რამაზ ლომინაძე**

**ჩვენი რეკვიზიტები:**
თბილისი, ღამბაშიძის ქ. №4
ტელ. (032)2 443446;
599 03 21 66; 599 37 83 41
e-mail.kartuliertoba@gmail.com
ვებ-გვერდი: www.qedi.qtv.com.ge
ფეისბუქის გვერდი: საინიცტივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტის" ფორმირებისთვის



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №252

# „ჩემი სამშობლოა ივერია“...

## გიორგი შარვაშიძე – 170

გიორგი შარვაშიძე საქართველოს კულტურისა და ისტორიის დამცველად გამოდის პუბლიცისტურ წერილებშიც და აქ არ შეიძლება, არ გავიხსენოთ რამდენიმე სტატია, მძაფრი პოლემიკური ხასიათის. მათ შორის, აღსანიშნავია პასუხი გერმანელი კორესპონდენტისადმი – ვინმე ლორენცისადმი, რომელმაც გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატში“ მოათავსა უდიერი კორესპონდენცია საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში მოგზაურობის შესახებ.

ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ გერმანელი ჟურნალისტის ეს წერილი გ. შერვაშიძემ მიიღო თავისი სამშობლოს, საქართველოს შეურაცხყოფად, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისთვის აფხაზეთი საქართველოს ერთი მთლიანი და განუყოფელი ნაწილი გახლდათ...

და აი, გიორგი შარვაშიძე თავაზიანი თხოვნით მიმართავს გერმანული გაზეთის რედაქტორს, რათა იმავე გაზეთში გამოაქვეყნოს პასუხი კორესპონდენტ ლორენცისადმი. როგორც გიორგი შარვაშიძე მოგვითხრობს, ლორენცი, სხვა სტუმრებთან ერთად, დიდი პატივით მიუღია პრინც ოლდენბურგელს გაგრაში, რათა სტუმრისთვის ქართული სტუმარმასპინძლობის ლაზათი ეჩვენებინა. ნადიმს რომ საზეიმო ხასიათი მისცემოდა, მთელი მაღალი წოდების წარმომადგენელნი მიუწვევია. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლობა ჩვეული სიტყვაკაზმულობით და მხიარულობით ჩატარებულა, მომხდარა სამწუხარო რამ: ერთ-ერთ სტუმარს პალტო დაკარგვია... და აი, საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, მოგზაურობის შემდეგაა დაწერილი ზემოთ ხსენებული კორესპონდენცია, სადაც ლორენცს ქართველობა „სპილენძის ხანის“ ხალხად მიაჩნია, ხოლო ქართველ მასპინძლებს საკმაოდ უდიერად მოიხსენიებს.

გიორგი შარვაშიძე წერს: „ეს სამწუხარო კორესპონდენცია შედეგია მხოლოდ ბ-ნი ლორენცის ზერელე, ფელეტონური დამოკიდებულებისა იმ ქვეყნის და ხალხისადმი, რომელსაც ეცნობა. მას ხომ უნდა აღენიშნა რაიმე იმ ადამიანების ზნეობრივი თავისებურების დასახასიათებლად – ვინც მას უმასპინძლა და, რა ეთქვა მათზე? კარგის სათქმელად საჭიროა მეტი ცოდნა და დაფიქრება, ხოლო ავისათვის მოსაზრება სულ უნიჭო რეპორტიორსაც ეყოფა... დიახ, ჩამოვრჩით ცივილიზაციას. არ გვყავს სუტინიორები, არც შანტაჟისტები, არც აფრიკელი საქმოსნები და ა. შ. მაგრამ ამაზე როდი ვწუხვართ, ვფიქრობ რა, რომ არაა საჭირო შევითვისოთ ის ნაგავი, რასაც ზოგიერთი პროგრესს უწოდებს, არამედ ვცდილობთ ევროპული ცივილიზაციიდან ამოვარჩიოთ, როგორც მარგალიტი, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებები, თვალყური ვადევნოთ აღმოჩენებს მეცნიერებაში. ერთი სიტყვით, ვღებულობთ მხოლოდ იმას, რაც სასარგებლოდ და გამოსაყენებლად მიგვაჩნია ცხოვრებასა და საზოგადოებისათვის. ასე, ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე, ვცხოვრობთ და ბატონ ლორენცს რომ უფრო ღრმად ჩაეხედა ქართველი ერის ცხოვრებაში, გაიგებდა, რომ ამ ხალხს, რომელიც მან ასე აბუჩად აიგდო, აქვს ბრწყინვალე ისტორიული წარსული, რომ ქართველები რაინდები არიან, რომელნიც მონაწილეობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, რომ ისინი თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ხმალამოღებულნი იდგნენ კავკასიის კარიბჭესთან არა იმისათვის, რომ შეჭრილიყვნენ სხვის ქალაქებში და რომ დაერბიათ სხვისი დოვლათი, არამედ იმისათვის, რომ დაეცვათ სამშობლო, ქრისტიანული კულტურა და მშვიდობიანი ცხოვრება; გაიგებდა აგრეთვე, რომ ქართველებს აქვთ მსოფლიო მნიშვნელობის უმდიდრესი ეპიკური ლიტერატურა, რომ ქართველი მეფეებისა და ხალხის იერარქიაში გენიალური სიბრძნისა და არაჩვეულებრივი გმირობის ადამიანთა სახეებია და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... შეიძლება კიდევ ბევრის თქმა, მაგრამ გასაოცარი გმირობის და დიდების წარსულის ფურცლები, ამ ხალხის სისხლითა და ცრემლებით განბანილი, არ შეიძლება დაეტიოს ერთ საგაზეთო სტატიაში, ანდა კი ღირს მარგალიტების ფრქვევა“...

ეს წერილი რუსულად დაიბეჭდა აგრეთვე გაზეთში „Закавказская речь“ (1911 წ., №146).

გ. შარვაშიძის ამ საოცარმა მახვილმა პოლემიკურმა წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა იმდროინდელ მოწინავე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის.

მოგვყავს ანტონ ფურცელაძის პირადი წერილი გ. შარვაშიძისადმი:

„უბრწყინვალესო თავადო,
გიორგი მიხეილის ძევ!

მე დიდი ხანია გიცნობთ, როგორც ჩვენი ბედკრული ქვეყნის ერთგულს და გულით მოყვარულ პირს. ვიცნობ თქვენს ნიჭსაც. ახლა ხომ თქვენმა წერილმა, რომელიც დაიბეჭდა „Закавказская речь“-ში 1911 წ., №146, უფრო დამარწმუნა თქვენი ქვეყნის სიყვარულსა და მწერლობით ნიჭში.

დიახ, ცხარე არის ეს წერილი, არის გულის სიღრმიდან ამოსული და „ნაღველში ამონაწები“ კალმით დაწერილი. ბევრს სამწუხარო ფიქრს აღვიძებს ეს თქვენი წერილი ყველა ქართველი მკითხველის გულში. ბევრს დარდსა ჰშლის და იქ, სადაც სხვა ძალა არ არის თავისი პატრონობისა, უნდა კალმით მაინც ვაცნობდეთ ქვეყანას ჩვენს უსამართლო სასჯელს, ჩვენი ჩაგვრას, ჩვენს ქვეყნის გამოსარჩლებას... ამ მხრივ თქვენი წერილი არის უებარი, არის ძლიერი, არის სიმართლით სავსე, არის ღრმად ჩახედული გონებით დაწერილი. სანატრელია, რომ მაგ წერილმა მიაღწიოს გერმანელთა შეგნებული ხალხის ყურამდის ნემეცურ გაზეთის ფურცლებიდან და აცნობოს, რა ხშირია, ხშირად თვით უგანათლებულეს ხალხშიაც, ათასი შარლატანობა და რა სამწუხაროა, რომ ამ შარლატანებს უსმენს განათლებული ერი.

გულითა და სულით მადლობას გწირავთ ამ შესანიშნავი და საგულისხმიერო წერილისათვის.

თქვენი ღრმად პატივცემელი,
ძველი მოღვაწე ანტონ ფურცელაძე“.

(წერილი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფონდი „სხვადასხვა“, დოკ. №88).

პუბლიცისტური წერილი „სოციალიზმი საქართველოში“, რომელიც დაიბეჭდა 1917 წ. გაზეთ „საქართველოში“, ეხება რუსეთის რევოლუციის საკითხს. გიორგი შარვაშიძე თავისი სამშობლოს – „ივერიის“ (როგორც იგი უწოდებს საქართველოს) ბედუკუღმართობით შეძრწუნებული, იმედით შეჰყურებს რუსეთის რევოლუციას და გახარებულია, რომ „თავისი სამშობლოს დამხობელის დამხობას მოესწრო“. თუმცა, აფრთხილებს ქართველ ხალხს, რომ რუსული რევოლუციური მოდელის ზუსტად გადმოღება, სახიფათოა. შალვა დადიანი ამ წერილთან დაკავშირებით აღნიშნავს „რამდენი ცოდნა ხალხთა ცხოვრებისა, ფსიქოლოგიისა, დაკვირვება და შორს მჭევრმეტყველება იგრძნობა ამ წერილში“.

ასევე საინტერესოა და საგულისხმო 1915 წ. გაზ. „საქართველოში“ მისი წერილი „ქართული ენის გარშემო“, სადაც იგი იცავს ქართულ სალიტერატურო ენის სიწმინდეს და ეხება ბევრ საყურადღებო და მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც დღესაც მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელი.

გიორგი შარვაშიძის ეროვნული სულისკვეთება გადმოცემულია წერილში „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“, რომელიც არ გამოქვეყნებულა. საინტერესოა, რომ იმავე სათაურით „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“ ვაჟა-ფშაველას აქვს გამოქვეყნებული წერილი, ორივე წერილში, ერთდროულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თითქმის ერთნაირად არის განხილული საკითხის ძირითადი არსი.

პუბლიცისტური წერილი „Так пишется история“(„ასე იწერება ისტორია“), (გაზ. „Закавказье“ 1910 წ. №№ 125-126) პასუხია ამავე გაზეთში 24 აპრილს №10-ში გამოქვეყნებულ ვინმე გერასიმოვის წერილზე, რომელიც ავტორის აზრით არასწორად აშუქებს მოვლენებს. „ცოცხალი მოწმე ვარ პირადად მე“, – აღნიშნავს გ. შარვაშიძე.

იგი კატეგორიულად გამოყოფს აფხაზებს, ჩრდილო-კავკასიელებისაგან, „აფხაზებისათვის, – წერს გ. შარვაშიძე, – შერქმეული მთიელების სახელწოდება დიდი ეთნოგრაფიული შეცდომაა. აფხაზებს ოდითგანვე ეკავათ შავიზღვისპირეთის ზოლი ენგურის შესართავიდან გაგრამდე. ისინი აღიარებდნენ და აღიარებენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და თვლიდნენ თავს ქართული ეკლესიის მრევლად...

აფხაზები არასოდეს შესულან ამ მეომართა ტომების შემადგენლობაში (იგულისხმება ჩრდილოეთკავკასიელები, თ.ღ.). იგი შეადგენდა ქართული სამეფოს ნაწილს“. ამ წერილში იგი სხვა საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, წარმოაჩენს თავისი საყვარელი აფხაზების ყოფასა და მათ არაჩვეულებრივ პიროვნულ თვისებებს, ზნე-ჩვეულებებს და ხასიათს.

გიორგი შარვაშიძის ძირითადი თემა საქართველოა და საქართველო განუყოფელი ნაწილია აფხაზეთისა.

საინტერესოა, რომ ბევრმა ქართველმა მოღვაწემ დიდი სითბოთი და სიყვარულით წარმოაჩინა გიორგი შარვაშიძე, მისი ნიჭი, ბრწყინვალე პიროვნული თვისებები: გრიგოლ რობაქიძემ, ილია ჭყონიამ, ნიკო თავდგირიძემ, თედო სახოკიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა, კონსტანტინე (კოწია) ერისთავმა, იოსებ იმედაშვილმა და სხვ.

1818 წელს გაზ. „საქართველოში“ (№45) გივი გოლლდენის ფსევდონიმით დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის ესსე, სადაც რობაქიძე გადმოგვცემს გიორგი შარვაშიძის სულიერ, ფიზიკურ და ინტელექტუალურ თვისებებს:

„სოხუმის ნაპირები... მთავარ ქუჩაზე მოდის ვინმე ცხენოსანი, უკან მცველი მოყვება. იგიც ცხენზე მჯდარი, ცხენოსანი ნამდვილი მხედარი, მოხდენილი ჯდომა, თითქოს მბრძანებელია მგრძნობიარე ცხოველის, მაგრამ თითქოს მას ძალას არც კი ატანს – მარჯვე დაკავება სადავის... ყოველი, რაც რომ სამხედრო ჯიშს მემკვიდრეობით გადაუცია ადამიანისათვის.

გამახსენდა არჩილ ჯორჯაძის სიტყვა: ქართველი ბელეტრისტისათვის ისიც არის საკმაო, რომ რომელიმე აფხაზის ცხენოსნობა აღწეროსო. გადმოხტა, გავიცანი: გიორგი შარვაშიძე, შვილი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრისა, რა შესანიშნავად ადგას ჩოხა! ტანი მაღლად არის აყვანილი სილაღით კიდევ, – თუმცა ეტყობა ექვს ათეულს გადასცილებია. ასეთი მოხდენილი ჩაცმულობა არავისზე მინახავს საქართველოში; აქ იყო ესთეტიკა ოსკარ უაილდის ყელსახვევისა: ქართული ყაიდა ჩაცმულობისა, მძლავრი სტილით ჩამოკვეთილი, სადა ძალზე და ამასთანავე რჩეული მეტად... რაოდენი სიმაღლე და რაოდენი თავაზი. არაფერში ეტყობა ძალდატანება, მოძრაობა, თავის დაჭერა, სიარული, ბაასი თავისუფალი მეტად და ამასთანავე ძალზე წარჩინებული...

მეორე დღეს: სადილი ნ.თ.-სთან (ნიკო თავდგირიძე – სოხუმის თავი. თ.ღ.). გიორგი შარვაშიძეც იქ არის. ეხლა ევროპულად ჩაცმული სტილით: მარტო ყელსახვევი რად ღირს?! ნამდვილი ქართული სუფრა, ქართული სილამაზის ერთი საუკეთესო ხატება. სუფრული ბაასი. მთავრის შვილის სიტყვა მოხდენილი ფრიად. საოცარი ხმა: ნელი, ტკბილი, მელოდიური, ხანდახან ოდნავ აცეცხლდება, – ხოლო არც ისეთი, რომ ღია პათოსში გადავიდეს, სიტყვასა და სიტყვას შუა ნელი, ოდნავ ასახული ირონია, პაპიროსს აკეთებს, როგორი თლილი თითები, ხელებზე რაღაც ნათელი ეფინება, სახის სილამაზე ივერიული, სწორუპოვარი პროფილი. მთელი საუკუნეებია საჭირო, რომ ბიოლოგიურმა შერჩევამ ასეთი სრული ტიპი წარმოშოს; იცის ევროპული ენები: ფრანგული, ინგლისური, გერმანული, განსაკუთრებით ფრანგული, ზედმიწევნით იცის რუსული, იცის ძვირფასად ქართული, აფხაზური, მეგრული...

მესამე დღეს რესტორნის ფარდულში ვნახე, ხოლო ახლა უბრალო მწვანე „ბლუზით“, მაგრამ ესეც რომ უხდებოდა! არა, ნამდვილი არისტოკრატობა ყველგან გამოჩნდება. თვითონ წერს არაჩვეულებრივ ლექსებს, პოემებს, დრამებს. მისი ბაასის საგანი უმეტესად საქართველოა – გაბედულობა მისი, საკითხის გადაწყვეტაში, არავითარი კომპრომისი, სრული თავისუფლება. აი, მისი ფიქრის ხვეული, ხოლო აქაც ნელი, რბილი, აუღელვებელი: მისთვის ყველაფერი მნიშვნელოვანია, რასაც სილამაზე ახლავს. ნამდვილი არისტოკრატია.

ამ დღეებში ამბავი მოვიდა მისი სიკვდილისა, მოგვშორდა ქართული რასის ნამდვილი ვაჟი“.

არანაკლებ ამაღლებულ გრძნობას, დიდ პატივისცემას და სიყვარულს გამოხატავს შალვა დადიანი: „ახოვანი და წარმოსადეგი – სხეულითაც და სულიერადაც. განათლებული ამ სიტყვის „კარგი“ მნიშვნელობით და უაღრესად ესთეტიკური... მწერალი სხვადასხვა დარგისა და მოშაირე ჩინებული... შობილი სილამაზისა და სიტურფისათვის, მაგრამ ტანჯული თავის ქვეყნის დიდი ტანჯვითა, დევნილი ცხოვრებაში და იდუმალის ჭმუნვით მოსილი, ხოლო ამ ჭმუნვაშიც მშვენიერი...

უბრალო და მიმღები საყოველთაო ცხოვრებაში, მაგრამ იმდენად მდიდარი თავისი ბუნების შინაარსით, რომ გაშინაურებას ამ კაცს ვერასოდეს ვერ შეჰკადრებდი.



მამია გურიელი, გიორგი შარვაშიძე და ბესარიონ ბერიძე



გიორგი შარვაშიძის სახლი სოხუმში

დასასრული. დასაწყისი იხ. № 107

ეს კი, მგონია, რჩეულთა ხვედრია... აბა, ვინმეს უდიერად ეხსენებინა მისი სათაყვანო სამშობლო. იგი, ვით უებარი რაინდი, ზეწამოიჭრებოდა და ბასრი კალმით ხელში სამაგიეროს მიაგებდა შეურაცხმყოფელს.

ჟურნალ-გაზეთების მეთვალყურეებს კარგად ეხსომებათ მისი საუცხოვო პასუხი გერმანელ მოგზაურის წერილზე გერმანულსავე გაზეთში დაბეჭდილი, ანდა გაიხსენეთ სულ ბოლო ხანში „საქართველოში" დაბეჭდილი მისი წერილები რუსეთის რევოლუციის შესახებ; რამდენი ცოდნაა ხალხთა ცხოვრებისა, ფსიხოლოგიისა, დაკვირვება და შორსგამჭვრეტილობა... ყოველივე მის სამშობლოს შესახებ თვალს ადევნებდა, ხარობდა მის სიხარულით, იწვოდა მისი წყლულებით.

უნდა გესაუბრათ მასთან, მოგესმინათ მისი ტკბილი ქართული, გენახათ მისი ზრდილობა... მხატვარმა ზიჩიმ, როდესაც ქუთაისში „ვეფხისტყაოსნის" ცოცხალი სურათები დასდგა, უთუოდ ტყუილად არ მოუწვევია გიორგიც ცოცხალ სურათებში მონაწილეობის მისაღებად, უთუოდ იგრძნო მან გიორგის სახეში შინაგანი ქართული ზრდილობა და გარეგნული ჩვენებური პლასტიურობა.

ამ მხრივაც ხომ გიორგი, ვისაც უნახავს, პირდაპირ შესანიშნავი იყო, მისი სიარული, ჯდომა და დგომა, ხელის გაქნევა, თავის დაკვრა, მთელი მიხვრა-მოხვრა პირდაპირ მხატვრული იყო მუდამ და **ეს მუდამ მიტომ ხდებოდა, რომ ის იყო ბუნებით თანდაყოლილი.**

...მის კალამს ბევრი საკუთარი ლექსი, ბევრი თარგმანიც ეკუთვნის. მისივე პიესები: „მომაკვდავნი სულნი", „კომლი უცეცხლოდ" და თამარ მეფის მამის ცხოვრებიდან „გიორგი მესამე" – ყველაზე თვალსაჩინო ეს არის. აქ ნაზი ნაკვთები, ჩამოსხმული ქართველთა დეკადანსი ბატონიშვილის დემნას სახით და იმავ ქართველის უდრეკი ნებისყოფა გიორგი მესამის განსახიერებაში.

მის ნაწერებს და მის პიესებს მოელის უსათუოდ გამომზეურება მოსიყვარულე ხელოვანისაგან.

ღირსია ამის!" (გაზ. „საქართველო", 1918 წ !47).

დაბოლოს, არ შეიძლება არ გავიხსენოთ გიორგი შარვაშიძის დაკრძალვაზე ზემოთ მოყვანილი ნიკო თავდგირიძის სიტყვიდან ერთი ფრაგმენტი, რომელიც ნიშანდობლივია დღეს აფხაზეთში განვითარებულ უმძიმეს და გულსაკლავ ვითარებასთან დაკავშირებით, აი, რას ამბობს იგი 1918 წელს: „თამამად შემიძლია შენ კუბოსთან გამოვთქვა, რომ შენისთანა რაინდული გრძნობით აღჭურვილი, შენისთანა ჩვენი ეროვნების ღირსების შემგნები, დამცველი და უანგარო მოყვარული არა თუ აფხაზეთს, მთელ საქართველოსაც, რომელიც რიცხვით და განათლებული საზოგადოებით უფრო ძლიერთა, ამჟამადაც არა ყავს. რა უსამართლობა, რა ირონია ცხოვრების: **მთელი შენი მშვენიერი, მომხიბლავი ახალგაზრდობის ძალა, არაჩვეულებრივი განსაკუთრებული უპირატესობით აღსავსე გარემოება მსხვერპლად შესწირე იმას, რომ შენს პატარა, მაგრამ შენთვის ცხოვრებაში ერთად-ერთ საფასურ-განძს – აფხაზეთს თავისუფლება მოვლინებოდა და შენ უკანასკნელი თავის ძალით, როგორც ბიბლიური სიმონი მიჰგებებოდი მას, მაგრამ შენმა საყვარელმა ხალხმა – აფხაზებმა გვერდი აგიხვია, ვერ შეგამჩნია შენ და იმ რუსის აღზრდა-აზროვნება-მიმართულებით გაჟღენთილ ადამიანებს მიჰყვა, რომელთან ბრძოლას შენი ხალხის დაჩაგვრისათვის მთელი შენი კაცთ-შორის აღიარებული ბედნიერება შესწირე"** (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", №10, 1918 წ.).

**თათული ღვინიაშვილი**

# რადგან შველი ქართულ წყალს სვამს, ეს, თურმე, აკნინებს ფიროსმანის საერთაშორისო მასშტაბს



დღეს, როცა საქართველოს რეალობაში არ არსებობს სახელმწიფოს პოლიტიკა კულტურაში, რასაც თეორიულად და პრაქტიკულად კულტურის სამინისტრო უნდა წარმართავდეს და გამოხატავდეს, ვფიქრობთ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბატონ **ბიძინა ივანიშვილის** კიდევ ერთი კერძო ინიციატივა – **ფიროსმანის ორი შედევრის ჩამოტანა საქართველოში.** 2015 წელს დაგვიბრუნდა **„არსენალის მთა ღამით"** და 2016 წელს **„შველი წყლის პირას".** ორივე შედევრი – ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისთვის გადასაცემად.

შარშანაც და წელსაც ლონდონის აუქციონზე ფიროსმანი რუსული მხატვრობის კატეგორიაში განიხილეს. ამავე კატეგორიაში, ანუ რუსული სკოლის მხატვრად, 75 000 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა **ლადო გუდიაშვილიც**... 2015-დან 2016 წლამდე სრული ერთი წელიწადია. დროის ამ ლოკალში, განხილვის დონეზე მაინც დამდგარიყო ამ ვისთვის პრესტიჟულ, ვისთვის კომერციულ, ყოველ შემთხვევაში, ძალიან პოპულარულ სოთბის ლონდონურ აუქციონზე **რუსული და ქართული ხელოვნების არაიდენტურობა.**

15 ივნისს „რუსთავი-2"-ის ეთერში სრულიად გამაოგნებელი ფრაზები გაისმა. მათ შორის ისიც რომ, უნდა **„მოისპოს ლაპარაკი"** იმაზე, რომ **ფიროსმანი ქართველია.**

სატელევიზიო სიუჟეტი „შველის" საქართველოში დაბრუნებას ეძღვნებოდა და, რაღა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის, როგორც ქველმოქმედის, მათთვის საეჭვო რენომეს.

პირველივე „რიტორიკული" კითხვა ზუსტად ასე გაჟღერდა:

– „ხომ არ აკნინებს ფიროსმანის დაბრუნება საქართველოში მის საერთაშორისო მასშტაბს?"

წარმოიდგინეთ, მოწვეული სტუმრის ტენდენციურობის დონე (იგი პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნე ქეთი კორძახია გახლავთ და სხვათა შორის, ძალიან კარგი მხატვრის მეუღლეც), როდესაც ამგვარ დიალოგში შევიდა.

პასუხი: **„საქართველოში დაბრუნება რამდენად კარგია არ ვიცი, მაგრამ სანამ არ მოვსპობთ საუბარს იმაზე, რომ ფიროსმანი არის ქართველი მხატვარი, მანამდე მისი მასშტაბის გაზრდა არ იქნება. ვერ იქნება მსოფლიო მასშტაბის მხატვარი".**

მისივე არგუმენტი: **„ეს ტენდენცია საბჭოთა კავშირიდან მოდის, რომ ფიროსმანიშვილი არის ქართველი პრიმიტივისტი მხატვარი".**

ჯერ ერთი, სწორედ საბჭოთა პერიოდში, არა მარტო ფიროსმანიშვილის შემოქმედება, არამედ საზღვარგარეთ წასული სუხიშვილების და რამიშვილების ანსამბლის კონცერტებიც აფიშებზე რუსულ ხელოვნებად ცხადდებოდა.

ჩვენ შეურაცხყოფილნი დავრჩით მაშინაც, როცა პოსტსაბჭოთა პერიოდშიც გამოვიდა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ალბომი რუსულ ხელოვნებაზე, სადაც ერთ-ერთ რუს მხატვრად წარმოდგენილი გახლდათ ნიკო ფიროსმანი და ამ კრებულის შემდგენელი სხვა, მაგრამ ისიც ქართველი ხელოვნებათმცოდნე ქალბატონი გახლდათ.

სიუჟეტში გაიჟღერა ტერმინოლოგიის დაზუსტების მცდელობამაც, რომ პრიმიტივიზმი არ არის სწორი, არამედ უნდა ვიხმაროთ – **ნაივური.** ვფიქრობთ, აქ არსებითი განსხვავება არ უნდა ვეძიოთ. ცნობილია, რომ „ნაივი" ნიშნავს გულუბრყვილოს, „ნაივური მხატვრობა" – გულუბრყვილო მხატვრობას, მაგრამ გულუბრყვილო ვუწოდოთ ფიროსმანს? იქნებ მისი ყველაზე დიდი სიბრძნე სწორედ ის სიმარტივეა, რაც ოდენ გულუბრყვილობად არ აღიქმება. **„იგი აბსოლუტურად არ ცდილობს შექმნას საოცრად ჭკვიანი და კულტურული გაუგებრობა. მისი უდიდესი ტემპერამენტით წარმართული გამომგონებლობა იქითაა მიმართული, რომ შექმნას ცხადი ბუნებრიობა მხატვრული სულიერებისა"** (თემო ჯაფარიძე).

რაც შეეხება „პრიმიტივიზმს", ის დიდი ხანია, ჩამოსცილდა ფიროსმანის გენიალურობას, რადგან **შეუძლებელია ამ ტერმინის ნიშნით განვიხილოთ მისი ფერწერული პლასტიკა, კოლორიტი, ზეცნობიერთან ურთიერთობის სრულიად განსაკუთრებული უნარი, სინათლის გამოსხივება ტილოზე და ა. შ. და ა. შ.**

საერთო ტენდენციით, პრიმიტივისტებს უწოდებდნენ თვითნასწავლ მხატვრებს, ანუ მხატვრებს, რომელთაც პროფესიული განათლება არ აქვთ. თუმცა პრიმიტივისტად წოდებულმა ფრანგმა **ანრი რუსომ** პრიმიტივიზმი, როგორც მხატვრული მეთოდი, შეიტანა თავის პოსტმოდერნისტულ შემოქმედებაში.

**ავთო ვარაზს** აქვს ამ სახელდების შესანიშნავი განმარტება: **„არ არსებობს თვითნასწავლი მხატვარი, არსებობს ღვთისნასწავლი მხატვარი".**

ნიკო ფიროსმანი ამ თვალსაზრისით, სრულიად უნიკალური და განსაკუთრებული შემთხვევაა ქართულ ხელოვნებაში. მან ვერბალურად, სიტყვიერადაც გამოხატა თავისი ფერწერის ზეცნობიერი ბუნება: **„მე ჩემი წმინდა გიორგის მჯერა. რომ ჩამეძინება, გამომეცხადება, თავს დამადგება მათრახით და მეუბნება: ნუ გეშინიაო!.. დილით კი, ჩემი ფუნჯი თავისთავად ხატავს!.."**

ალბათ არ არსებობს სხვა მხატვარი, უფრო ნაციონალური, ქართული სულის უფრო მატად გამომხატველი, ვიდრე ნიკო ფიროსმანია. ამიტომ გაუგებარია, რატომ უნდა ჩამოვაცილოთ მას სიტყვა **„ქართველი"**. იქნებ გლობალიზაციის გზაზე დასადგომად?

დღეს, არა თუ დარგობრივი პატრიოტიზმი, თვით ზოგადად პატრიოტიზმიც მავანთაგან ნიჰილიზმის ნიშნით წარმოითქმის. პატრიოტიზმს ფიურერის ნაციონალიზმთან აიგივებენ. არადა, სწორედ საბჭოთა პერიოდში მწერალთა კავშირის ტრიბუნაზე ავიდა მხრებში მოხრილი **პავლე ინგოროყვა** და ყველასთვის გასაგონად განაცხადა: **„ნაციონალიზმი სულაც არ გახლავთ უარყოფითი სიტყვა. ნაციონალიზმი პატარა ერებისთვის თავდაცვის საშუალებააო".**

* * *

მცირე პრეისტორია: ფიროსმანის ცნობილი ტილო **„შვლის ნუკრი წყლის პირას"** 1911 წელს გავიდა საქართველოდან (ნიკა რურუას მინისტრობის პერიოდში) და 500 000 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა ლონდონის სოთბის აუქციონზე და ერთ-ერთ კერძო კოლექციაში მოხვდა. ამავე ანონიმმა მყიდველმა, შემდგომ, ანუ 1916 წელს, კიდევ უფრო ძვირად გაყიდა ეს ნახატი, რომელიც შეიძინა ბიძინა ივანიშვილმა და ამ ნამუშევარში 629 ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა.

„რუსთავი-2"-ის ჟურნალისტის შეკითხვა:

– **„ვის სჯობდა ეყიდა ეს ნამუშევარი, ვის შეეძლო კიდევ სხვას ეყიდა?"**

პასუხი: – **„ძალიან ბევრი მდიდარი რუსია, რომელიც ცხოვრობს ლონდონში".**

...და კიდევ არანაკლებ „საინტერესო ნარატივი".

– „ჩვენ ახლა ამ ფიროსმანს რომ მივადექით, უფრო მნიშვნელოვანი ამბები მოხდა – იმავე აუქციონზე 4 ქართველი მხატვარი გაიყიდა"...

დიახ, მართალს ამბობს ხელოვნებათმცოდნე, რომ გაიყიდა **ლადო გუდიაშვილის**, ცნობილი ნონკონფორმისტის **ოთარ ჩხარტიშვილის** და გენიალური **მერაბ აბრამიშვილის** ნამუშევრები, მაგრამ რა ლოგიკით უნდა ვირწმუნოთ მისივე მოსაზრება, რომ „ბიძინა ივანიშვილს სჯობდა ეყიდა ფიროსმანი და საჩუქრად გადაეცა პომპიდუს ცენტრისთვის".

გასაგებია, რომ სასურველია ფიროსმანი ლუვრში ან დრეზდენშიც იყოს გამოფენილი, მაგრამ მხატვრის პოპულარიზაციას არა ჩვენი ჩინოვნიკების ცხოვრების წესი (დახუნძლული მოადგილეებით, თანაშემწეებით, უაზროდ და უფუნქციოდ გაბერილი აპარატით), არამედ ქმედითი ნაბიჯები სჭირდება. **უპირველესად კი, სწორედ მხატვრის სამშობლოში.** სანიმუშოა იმგვარი სულისკვეთება, რაც ვთქვათ, ამოძრავებდა „ჩუბჩიკას", ჩვენს საყვარელ **თენგიზ მირზაშვილს** – ფიროსმანის თავგამოდებულ მკვლევარს და პოპულიზატორს.

„რუსთავი-2"-ის იგივე სტუმარმა აღნიშნა, რომ „შველი" ისედაც ექვსი აქვსო ფიროსმანს.

როგორ გავიგოთ, ეს „შველი წყლის პირას" ზედმეტია საქართველოსთვის? **ფიროსმანის „შველთა" შორის სწორედ ამ ნახატს განსაკუთრებულად ღირებულად თვლიდა თენგიზ მირზაშვილი.**

– „ასევე გამორჩეულიაო სწორედ ეს **„შველი წყლის პირას"**, – განმარტავს ხელოვნებათმცოდნეობის ავტორიტეტი ბატონი **გოგი ხოშტარია**, რომელიც ფორმალურადაც და თემატურადაც უზუსტესად ფლობს ფიროსმანის შემოქმედებას.

ფიროსმანის ასევე ძალიან სერიოზული მკვლევარი, ბატონი **გია მარსაგიშვილი** ჟურნალ **„ცისკარში"** გამოეხმაურა 1915 წელს ლონდონის აუქციონზე გამოტანილ ნიკო ფიროსმანის შედევრს **„არსენალის მთა ღამით"** წერს: **„ჩვენს სამუზეუმო ცხოვრებაში მსოფლიოს პრესტიჟულ აუქციონზე ხელოვნების მუზეუმისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ფერწერის შეძენის პირველი შემთხვევაა.** ეს მოვლენა მუზეუმის დამაარსებლების ექვთიმე თაყაიშვილის, დიმიტრი შევარდნაძის, იროდიონ სონღულაშვილის, შალვა ამირანაშვილის და სხვათა დიდი ღვაწლის გაგრძელებაა. ხელოვნების მუზეუმს 2007 წელს, ბატონი ბიძინას მეშვეობით, ასევე შეემატა გასაყიდად გამზადებული ვარციხის ხატი „ღვთისმშობელი ყრმით".

* * *

სხვა საკითხია: რა უნდა გააკეთოს იგივე ხელოვნების მუზეუმის დირექციამ და კულტურის სამინისტრომ, რომ ქართული კულტურის შედევრები მსოფლიომ გაიცნოს.

ერთი კონკრეტული მაგალითი კი მინდა მოვიყვანო: თითქმის ერთწლიანი მოლაპარაკების შემდგომ კულტურის სამინისტრომ უარი განაცხადა უცხოეთში ცნობილი და საქართველოში უცნობი მხატვრის **სიმონიკა (პეტრე) დადიანის ნამუშევრების საქართველოში ჩამოტანაზე, როდესაც მის 24 ნახატს და 2 სკულპტურას, სრულიად უსასყიდლოდ გვთავაზობდა საფრანგეთში მცხოვრები ქალბატონი. კულტურის სამინისტროს კი გზის ხარჯების დაფარვისთვის „არ აღმოაჩნდა" სათანადო თანხა.**

ცნობისათვის, სიმონიკა (პეტრე) **დადიანი გენეტიკურად გახლავთ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის პირდაპირი შთამომავალი, საფრანგეთის პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერის, საზოგადოება „ქართლოსის" ერთ-ერთი დამაარსებლის კოკი დადიანის უმცროსი ვაჟი, დედის მხრიდან კი, იმერეთის მეფის სოლომონ მეორის შთამომავალი.** მან სამხატვრო განათლება მიიღო პარიზში. ცხოვრობდა სან-ფრანცისკოში, მონაწილეობდა სან-ფრანცისკოს, ნიუ-იორკის, ლოს-ანჟელესის პრესტიჟულ გამოფენებში, მიღებული აქვს სპეციალური პრიზიც...

ამ ნამუშევრების ჩამოტანის სხვა გზაც მოინახება, მაგრამ რას იტყვის ისტორია? ეს პერიპეტიები კი სრულად აღიბეჭდება ფილმში, რომელსაც საპატრიარქოს ტელევიზია და სტუდია **„ავტოგრაფი"** ამზადებს.

* * *

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც სტუმარმა „რუსთავი-2"-ის ეთერში ისაუბრა, რომ თურმე საეჭვოა ხელოვნების მუზეუმში უკვე დაცული ფიროსმანის ნამუშევრებიდან გარკვეული ნაწილი მხატვრის ფუნჯს ეკუთვნოდეს, ანუ სავარაუდოა, ფალსიფიკაცია იყოს. გაიხსენა **გილგენდროფის** ცნობილი ლაბორატორია, სადაც ულტრაიისფერი სხივებით უნიკალურ დასკვნებს აკეთებდნენ დედნისეული სიზუსტის დასადგენად.

სად გაქრა ეს ლაბორატორია? ან ის გამოცდილება არავის არ გადაეცა? საქართველოში თურმე არ არსებობს, მაგალითად, პეტერბურგის ერმიტაჟში არსებული ანალოგიური კვლევითი ლაბორატორია. ამიტომ ნებისმიერი ხელოვნების ნიმუში საქართველოში შესაძლოა, არა დედანი, არამედ ასლი იყოს. მით უმეტეს, როცა ასე მომრავლდნენ ყალბისმქმნელები და ხელოვნების არაპროფესიონალი დილერები.

იქნებ ამ კუთხით მაინც განხორციელდეს სახელმწიფო პოლიტიკა კულტურაში: ჩამოყალიბდეს იმგვარი ლაბორატორია, როგორიც მსოფლიოს ყველა ცნობილ განძსაცავში არსებობს.

რაც შეეხება ჟურნალისტის კითხვას, **„ხომ არ აკნინებს ფიროსმანის დაბრუნება საქართველოში მის მასშტაბს"** – ამაზე ვფიქრობთ, შეძლებისდაგვარად ვუპასუხეთ.

**ნინო ხოფერია**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**



შარშან ოქტომბერში, საქართველოს მწერალთა სახლში, გაიმართა ფარნა რაინას (ფარნაოზ რაინაულის) შემოქმედებითი საღამო, სადაც მას საზეიმოდ გადაეცა მწერალთა კავშირის მიერ დაწესებული ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია. 80 წელს მიტანებულ შემოქმედს სხვადასხვა წლებში მინიჭებული აქვს ტერენტი გრანელის და გიორგი ლეონიძის პრემიები.

ფარნა რაინა მრავალი წელია, რუდუნებით უძღვება საქართველოს მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ შემოქმედებით საქმიანობას და რედაქტორობას ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეში“ (მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი), რომელსაც დასაფასებელი წვლილი შეაქვს ახალგაზრდა შემოქმედთა გამოვლენასა და დაოსტატებაში, მყარ საფუძველს უყრის კახეთის ლიტერატურულ მომავალს.

ქართველებს ერთი მშვენიერი სიტყვა გვაქვს — ღვთისნიერი კაციაო, იტყვიან ისეთ კაცზე, ღვთის ნირი რომ შერჩენია გარეგნობასა და სულში. ფარნა რაინა სწორედ რომ ღვთისნიერი კაცია, უფლის თვალი ტრიალებს მის ყველა ლექსსა და ჩანაფიქრში. საქართველოა მისი საფიცარი და საესავი. თუში კაცის სიმტკიცითა და შეუვალობით ემსახურება სათაყვანებელ მამულს და მის სადიდებლად ალალ, პატიოსან, გულის სისხლში განბანილ სტრიქონებს აღავლენს.

ფარნა რაინა იმ სანეტარო შემოქმედთა დასის წევრია, „ვინაც სიტყვას სიცოცხლე მისცა, სულიც, გულიც და მზის ნათებაც სტრიქონში ჩადო“. ამის დასტურია პოეტის ფილოსოფიური სიბრძნითა და ემოციური სიმძაფრით გამორჩეული ლექსების ციკლი — კატრენები, სადაც მის ყოველ სიტყვას წონა აქვს... ფერი, გემო და სურნელებაც!...

ეს აფორიზმებია, გულის ფიცარზე რომ უნდა ეწეროს ყველას; ეს შუქურა, მანათობელია, კაცობრიობის უკეთესი მერმისისაკენ სავალ გზაზე; ეს მიზანია, რომლისკენაც უნდა ვისწრაფოდეთ ყველა.

როგორც თვად რაინა ამბობს, ის ორჯერ დაიბადა: პირველად — ბიოლოგიურად, მეორედ — სტრიქონებსა და რითმებთან ჭიდილისას. უფალმა ნუ მოაკლოს სურვილი ამ ჭიდილისა!...

## ფარნა რაინა (ფარნაოზ რაინაული)

# ვინცა ვართ იცის ხალხმაც და ღმერთმაც...

### კატრენები

### იბერები...

ქვეყანაც და...
სახელიც
ვრცელი ჰქონდათ
იბერებს...
სიდიადე —
ვითარ, მზე,
თავს —
აროდეს
იბერებს...
დღესაც ვხედავთ
იმ სულის —
ცისარტყელის
იმ ფერებს,
იმ სახელს და...
დიდებას —
კვლავ, ამაყად
იფერებს...

### თუშები...

სულ, —
ბრძოლა იყო და...
იოტი — თუ, შვება?!..
წლებს
ცეცხლი ეკიდა, —
ხმალ-გუთნით
ბოგინში...
და... რქაჟანგიანმა,
იცოდნენ, —
თუშებმა:
სირცხვილი არისო
სიკვდილი —
ლოგინში...

### სახელი...

თუ, —
რამე შვენის —
ადამიანს,
სახელი შვენის...
მზესახელს —
მიწყივ,
დროც და
ხალხიც
მზესავით ლოცავს...
იცოდე:
უმალ,
მტვრად იქცევა —
სახელი შენი,
სარგებლისათვის —
ღმერთს და
სინდისს
გაწირავ, როცა...

### აღიარება ყოველთვის გვიჭირს...

სხვათა ღირსების
დასამხობად,
რას აღარ
ვხლართავთ?!..
გვკლავს —
სხვათა სხივთა
დიადემა, —
ელვარე ნიჭის...
ადვილად ვიცით:
კილვა,
კიცხვა
და... თათხვა
სხვათა,
აღიარება სიდიადის —
ყოველთვის,
გვიჭირს...

### სიბრძნით და აზრით...

ცხოვრება არის
ასპარეზი —
ავ-კარგის ქართა,
ხომ არის,
როცა —
ჩვენი ბედი
მწვერვალზე
არ ზის?..
არაფერია —
უსაშველო,
სიკვდილის გარდა,
სიცოცხლეედ აქცევ
სიკვდილსაც კი,
სიბრძნით და
აზრით...

### მკლავს - ინტერესი!!!..

ვეღარ ვიცილებ
ფიქრის
ფრთოსნებს,
ფიქრნი მათბობენ,
მკლავს ინტერესი,
კოსმიური,
უსაზღვრო ფიქრით...
როცა შევყურებ
ამ ზეცას და
ციურ მნათობებს,
რა არის —
იქით?!..
იმის იქით?!..
და...
იმის იქით?!..

### დედამიწაც კი რომ არ ეყოფნიდა...

ალექსანდრე
მაკედონელს

არ უნდა გქონდეს:
მადა — მგლისა
და...
გული — ქვისა...
იცოდე უნდა:
ყოფნის არსი,
ცოდვა და
მადლი...
დედამიწაც კი
არ გყოფნიდა* —
ზეცის ქვეშ,
ვისაც,
ბოლოს, — იკმარე:
მზედამშრალმა,
სულ,
ორი ადლი...

*„ამ საფლავში ჩაეტია ის, ვისაც მთელი დედამიწა ეპატარავებოდა“... — ალექსანდრე მაკედონელის ეპიტაფია.

### ვიმეორებო, გენიოსმა ბრძანა გოეთემ...

გონების განძზე —
სამზეოზე,
ვინ თქვას
უარი?..
ზოგჯერ, — გვგონია:
აზრის,
სიბრძნის
სხივად მოვენთეთ...
რასაც მე ვამბობ,
ჩემეული
ცოტა თუ არი,
მეტი,
ჩემამდე,
ნათქვამია, —
ბრძანა გოეთემ...

### მაშინღა გვახსოვს ღმერთი...

მინდა:
სიწრფელით სულის,
სიტყვაც
წრფელი ვთქვა
ერთი...
ხან, — გვავიწყდება
ღმერთი...
და... გვავიწყდება
ლოცვაც...
თუ, გაგვიჭირდა,
ჩვენი —
მუდარა
ზეცას ერთვის,
მაშინღა გვახსოვს
ღმერთი,
თვითონ გვჭირდება,
როცა...

### მკვდარი და ცოცხალი...

ვისთვის — ავდარი,
ვისთვის — დარია?..
ნარი — ვისთვის და...
ვისთვის — მოცხარი?..
ცოცხალი, —
ზოგი,
უკვე, მკვდარია...
და... ზოგი, მკვდარი —
ისევ,
ცოცხალი...

### სანამ?!..

მოთმენის ძაფი
გაწყდა, უკვე,
სანამ —
გოლგოთა?!..
ვერ გავაბრუნეთ
ტროას ცხენიც, —
რაიც
მოგორდა...
კარიერისტი, —
ზოგი,
ისე,
ძალუმ,
მოღორდა,
გადაგვავიწყდა
დრო —
არაბთა...
სპარსთა...
მონღოლთა...

### მაჩვენეთ გული...

სიცოცხლე —
ლამის
მიიწურა,
მინავლდა ისე,
ქვევრი კი არა,
სიყვარულის —
ვერ ვნახე
ქოცოც...
მაჩვენეთ გული:
უანგარო,
ალალი, მზისებრ,
რომ
გული მივცე
გულისათვის,
ვენდო და...
ვლოცო...

### სოფისტები...

გაგვიმრავლდნენ:
ცრუბრძენნი და...
ცრუმეტყველნი, —
სოფისტები,
პლანეტის თუ
ქვეყნის,
ხალხის,
ქალაქის და
სოფლის მტრები, —
ქიშპისტები,
ხვეჭისტები,
ღვარძლისტები,
ცოფისტები,
სიყვარულის,
სიმართლის და...
მეგობრობის,
ძმობის მტრები...

### ფანტაზიორი...

ჭირი სჭირს,
ვისაც —
თავის კულტით,
იმატებს
სხვა ჭირს,
ვერ არჩევს
ზეცი:
თეთრსა და
შავს,
მტყუანს და
მართალს...
მართვა სურს:
ხალხის,
ქალაქისა
თუ —
ქვეყნის საჭის,
მართვა სურს,
მაგრამ...
თვითონ,
თავის —
თავსაც ვერ
მართავს...

### ჩვენი სიცოცხლე მაშინ რა არის?!..

რომ ვხედავ —
ვარდად მავალ ფერიას,
ერთი მზის ნაცვლად,
თითქოს, —
რვა არი...
თუ
სიყვარული
არაფერია,
ჩვენი სიცოცხლე
მაშინ,
რა არი?!..

### ვით, ანარეკლი ჭეშმარიტების...

ვინ
ვერ იშორებს,
ვინ
იშორებს
საწუთროს ვალებს?..
ვინ —
ნეტარების,
ვინ კი —
ზიზღის
ჟრუანტელს გვგვრიან...
ტყვიით დაჭრილი
რჩება, თურმე,
უფრორე,
მალე,
ენით დაჭრილი —
არ რჩებაო...
ან, — რჩება —
გვიან...

### სიბრძნე და... დანაშაული...

ცხოვრება,
ზოგჯერ,
როგორც — ნაბადს,
ისე მოგვთელავს,
ზოგჯერ კი —
სიბრძნით,
ხოხბის ლაპრიც
ვიქცევით მართვედ...
დანაშაული არის —
ხოლმე,
ზოგჯერ,
მოთმენა...
მაგრამ...
ზოგჯერ კი —
მოუთმენის
მოთმენა გვმართებს...

### სარკე...

ვინ —
ვინ ვართ?..
ცნობა —
ხან,
არ გვაქვს
სრული...
და... ყველას —
სულის
არ ვუხსნით
სარკმელს...
სასმელი არის:
ზნეობის,
სულის
და... ხასიათის —
ნამდვილი,
სარკე...

### ხომ, გვახსოვს?..

ხომ გვახსოვს —
ყველას,
ის დრო,
იყო:
ვინ — სად?!..
ვის — ნებით?!..
რის — ცოდნის სიბრძნით?!..
რის — სიწრფელით?!..
ანდა — რის ღვაწლით?!..
არც — გულის სანთლით,
არც — სინდისით,
არცრა — ღირსებით,
სკამებზე ისხდნენ:
ვიღაცანი, —
მხოლოდ,
ვიღაცით...

### არ მჯერა...

მგელიც კი,
მგელი —
ტყუილად ხომ
აროდეს ყმუის?..
მგელზე კი არა,
მე —
ღვთის შვილზე
ვამბობ, —
ამჯერად...
სამჯერ რომ იტყვი
ჩემო კარგო,
ქათქათა ტყუილს,
სიმართლე რომ თქვა, —
მერე,
ასჯერ,
რა ვქნა, —
არ მჯერა...

### ვინცა ვართ, იცის ხალხმაც და ღმერთმაც...

სახელი —
დახლი არაა
ბაზრის
ფასი რომ
ასწი-დასწიონ
ერთხმად...
რაც უნდა —
მიგრიხ-მოგრიხონ
აზრი,
ვინცა ვართ,
იცის —
ხალხმაც და
ღმერთმაც...





# ჯასთარტისტი და მისი „მოწინავე აზრის სახლი“ მთაწმინდაზე

**პროფესორ** პაატა ნაცვლიშვილის სახელოსნოში შეკრებილები სულხან-საბას ნაკვალევზე ტაო-კლარჯეთში ჩვენს მოგზაურობას ვაჯამებდით, როცა ჩემმა „მუდმივმა ლექტორმა“ **მაია ნავერიანი** და მისი გამოფენა ახსენა — House of Forward Thinking, რომელიც წინა დღით გახსნილიყო მთაწმინდის პარკში. მე რატომ არ მითხარით-მეთქი, ვუსაყვედურესავით. მანაც, გული არ დამწყვიტა და, ხვალვე ავიდეთ, მაიასაც შეგახვედრებო.

უშუალოდ შეხვედრამდე მაია ნავერიანზე ბევრი არაფერი ვიცოდი იმის გარდა, რომ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ლონდონში ცხოვრობდა და არაერთი გამოფენა ჰქონდა მოწყობილი.

დავგუგლე და შევიტყვე, რომ მისი სერიოზული პროფესიული კარიერა 1999 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც Annely Juda Fine Art-მა Vordemberger Gildewart Foundation-ის საერთაშორისო კონკურსზე წარადგინა, სადაც მაია ნავერიანმა პირველი პრიზი აიღო ფერწერაში.

მას შემდეგ პრიზები და გამოფენები ბევრი ჰქონია — ლონდონსა თუ ნიუ-იორკში, კიოლნსა თუ დიუსელდორფში, ამსტერდამსა თუ მსოფლიოს სხვა ქალაქებში, მაგრამ არა საქართველოში. House of Forward Thinking მისი პირველი გამოფენაა სამშობლოში და მეც პირველად გავეშურე მასთან და მის ნამუშევრებთან შესახვედრად ჩემს მუდმივ ლექტორთან და ჩემს პირველ (ძმის)შვილთან ანდრიასთან ერთად. ანდრია შემთხვევით არ მიხსენებია: 5 წლის ბავშვი ჩემზე არანაკლები ინტერესით ათვალიერებდა მაია ნავერიანის ნამუშევრებს, ფერადი ფანქრებით შესრულებულ ნახატებს, რომლებიც ერთი შეხედვით სწორედაც ბავშვურ ნახატებს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ღრმა ფილოსოფიური კონცეპტებისა და ემოციური მუხტის მატარებელია. ეს ნახატები 2005-2015 წლებშია შექმნილი ლონდონში.

მაია ნავერიანის ნამუშევრებთან შეხვედრა ჩემთვის სხვა მხრივაც პირველი იყო — პირველად ვნახე გამოფენა, რომელიც ჩვეულებრივ სატვირთო კონტეინერში მოეწყოთ. ამ ექსპერიმენტულ პროექტს, რომელსაც „მოძრავი გალერეა“ ჰქვია Project ArtBeat-ი ახორციელებს. თურმე უკვე კარგა ხანია, ეს ორიგინალური საგამოფენო სივრცე საქართველოში დამოგზაურობს და ხან სად გამოჩნდება, ხან — სად.

ერთი შეხედვით, ისე ჩანდა, რომ სწორედ ეს საგამოფენო სივრცე(ც) იყო ის House of Forward Thinking — „მოწინავე აზრის სახლი“, რაც მაია ნავერიანს თავისი თბილისური გამოფენისთვის დაურქმევია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს კონცეპტუალური ფრაზა აქ წარმოდგენილი ერთი უმთავრესი ნახატის ორგანული ნაწილია და ამ სივრცისაგან დამოუკიდებლად გაჩნდა, როგორც მხატვრის შემოქმედების ერთი კონკრეტული პერიოდის ფიქრების, განცდებისა და ძიებების გამაერთიანებელი.

ჩემთვის გუნებაში კი გადმოვაქართულე ეს ფრაზა და ჩემი ამ წერილის სათაურადაც შევიგულე, მაგრამ მაინტერესებდა, როგორ თარგმნიდა მას თავად ავტორი.

— არა, ვერ ვთარგმნი! — ისეთი კატეგორიულობით მითხრა მხატვარმა, რომ შემრცხვა კიდეც, მე თავად როგორ ვცადე მისი გადმოქართულება, — ეს ფრაზა მეტია, ვიდრე წინადადება ან სლოგანი, რომელიც შეიძლება ერთი ენიდან მეორეზე გადაიტანო. სჯობს, არ გადავთარგმნო, ვიდრე დამეკარგოს ის, რაც მასში დევს. განა შეიძლება, ნახატი ითარგმნოს? ეს ფრაზა ლიტერატურა არ არის, ეს მხატვრობაა!

მართლაც, გრაფიკულ გამოსახულებად ქცეული ეს ფრაზა მაია ნავერიანის ამ გამოფენაზე წარმოდგენილი უმთავრესი კონცეპტუალური კომპოზიციის მთავარი ღერძია.

მან ინტუიციურად იგრძნო სააზროვნო სივრცე, რომელიც სავსე იყო კითხვის ნიშნებითა და უპასუხო კითხვებით. მან იგრძნო, რომ ნებისმიერ ბანალურში იყო მნიშვნელოვანი, რაც მერე თავის ნამუშევრებში ჩადო. ამას მოჰყვა ფიქრი იმაზე, თუ რა არის სახლი — ვისთვის დაცულობა, ვისთვის კი — ციხე. მისი ნახატების მხილველმა და შემფასებელმა ეს თავად უნდა გადაწყვიტოს. ავტორი არავის ახვევს თავს ერთმნიშვნელოვან მოსაზრებას. ის ყველას აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ცოდნისა და ტემპერამენტის კვალობაზე აღიქვას თითოეული მისი ნახატი. და ნებისმიერი აღქმა მხატვრისთვის მისაღები და ადეკვატურია.

მაია ნავერიანის ნახატებში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ნიშან-სიმბოლოებს. მისი შემოქმედების ეს თავისებურება ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიამდე გამოვლენილა, როცა ის მკაცრად განსაზღვრული ჩარჩოებიდან გასვლის გზებს ეძიებდა და ამ ძიებებში აღმოაჩინა გია ეძგვერაძე — საბჭოური ჩარჩოებისგან სრულიად თავისუფალი ადამიანი, რომელმაც იმხანად ყოვლად წარმოუდგენელი მასშტაბის შემოქმედებითი თავისუფლება მასაც აგრძნობინა.

მოგვიანებით, წლების შემდეგ, მოსწავლესა და მასწავლებელს ერთად მიუღიათ მონაწილეობა სხვადასხვა პერფორმანსსა თუ გამოფენებში და არაერთ პროექტში უთანამშრომლიათ.

მეც კარგად ვიცი ასეთ ადამიანთან შეხვედრის ფასი. მაია ნავერიანი ისეთი მადლიერებითა და პატივისცემით ლაპარაკობს მაესტრო გია ეძგვერაძეზე, როგორც მე ჩემს მაესტროზე — პაატა ნაცვლიშვილზე. და ჩემი ოცნებაა, პაატა ნაცვლიშვილმაც ოდესმე ისე მოიწონოს და შეაფასოს ჩემი ნაწერები, როგორც დღეს გია ეძგვერაძე იწონებს და აფასებს მაია ნავერიანის შემოქმედებას.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ იყო ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული. თუმცა, პაუზა მის თავისუფლებასა და პროტესტის გრძნობას არ შეხებია. ერთიც უპაუზო იყო და მეორეც. პირველად რომ ჩავიდა ლონდონში ნამდვილი კულტურული შოკი მიიღო და კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო, ფანქარი ვერ აიღო ხელში. მერე კი წლობით დაგროვილმა ემოციამ, მელანქოლიამ თუ პროტესტმა ჯებირები გადალახა და სიზმარში გუაშის საღებავები აყიდვინა. მანამდე გუაშით არასოდეს უხატია, მაგრამ მეორე დილას მართლა იყიდა გუაშის საღებავები და მას შემდეგ მისი ხელი არ გაჩერებულა. ხატავს ინტუიციურად. აღარ ფიქრობს, რატომ დახატა, ვთქვათ, ფალოსი, რატომ ჩაწერა ნახატში უთარგმნელი ფრაზა. ყველაფერი თითქოს თავისით ხდება, ძალდაუტანებლად. თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, თითოეულ ნახატზე ცალკე ესე შეიძლება დავწეროო, ამბობს.

ესე არა, მაგრამ მშვენიერი ავტორისეული ანოტაცია შეგვიძლია წავიკითხოთ ამ გამოფენისადმი მიძღვნილ ფეისბუქ-პეიჯზე:

„ჩემი შემოქმედების ბოლო ათწლეულის ძირითადი ენა ნახატია. ნახატი (drawing) დიდი ხანია, გაცდა ამ დისციპლინის ტრადიციული და სტერეოტიპული გაგების ფარგლებს და უზარმაზარი ვიზუალური ამპლიტუდის მქონე ავტონომიურ, თვითკმარ ენად ჩამოყალიბდა. ჩემთვის თვით ხატვის აქტი უფაქიზესი პროცესია, რომელიც ინტუიციის მაქსიმალურ ნდობას მოითხოვს, იქნება ეს მცირე ფორმატზე ნიშნობრიობის უშუალო, სწრაფი დაფიქსირების დროს თუ დიდი ფორმატის ზედაპირის ურთულესი ფსიქოლოგიური და ტექნიკური ათვისებისას, „დაპყრობისას“. მდგომარეობა, როცა სრული ფსიქოლოგიური, ემოციური და ფიზიკური კონცენტრაცია და შინაგანი თუ გარე სივრცის გარინდებული გრძნობა აბსოლუტური აუცილებლობაა. სწორედ ამ კონდიციაში შესვლისას მიჩნდება ის არარაციონალური ინტუიტიური „მინდობა“, რომელიც სხვა, ამოუცნობი სივრცის გადახსნის განცდას მიჩენს, სადაც არ არსებობს არც წარსული და არც მომავალი — მხოლოდ მოუხელთებელი აწმყო და მისი კვლევის უსასრულო შესაძლებლობები“.

მაია ნავერიანისთვის შემოქმედებითი პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი შედეგი. ალბათ გაქვთ საყვარელი ნახატები, რომელთაც ვერასოდეს შეელევით-მეთქი. არა, არ მაქვს ასეთებიო. როცა ვიგრძნობ, რომ ნახატი თუ სერია დასრულდა, ის ჩემთვის აღარ არსებობსო, დაე, მერე სხვასთან გააგრძელოს ცხოვრებაო.

უხარია, რომ მისი ნამუშევრები მის სამშობლოშიც დარჩება.

ბედნიერია, რომ მისი გამოფენის გახსნაზე თბილისში მასთან ერთად იყვნენ მისი შვილი — ალექსანდრე დადიანი და მეუღლე — ანგას ლედლი-ბრაუნი. არაფერი საკვირველი არ არის, რომ ქმარს ცოლის ნამუშევრები მოსწონდეს და უყვარდეს, მაგრამ ანგას ლედლი-ბრაუნს, პროფესიონალ ლონდონელ ფოტოხელოვანს, ჯერ თურმე მაიას ნამუშევრები მოსწონებია და შეყვარებია და მერე თავად მაია!

კმაყოფილია, რომ მისი პირველი თბილისური გამოფენა ასეთ არაორდინარულ სივრცეში გაიმართა — კონტეინერი მას გამოქვაბულსაც აგონებს და ადამიანის ხორხსაც. ეჩვენება, რომ ეს ნახატები სადღაც ხორხიდან, სიღრმიდან ამოსული ხმაა, რომელიც პატარ-პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან ამბებს გვიყვება ამ გამოქვაბულში შესულებს.

ბედნიერია, რომ მოძრავი გალერეა-კონტეინერი მთაწმინდაზე დგას. როგორც ამბობს, ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ მისი გამოფენა სწორედ მთაწმინდაზე, სწორედ იმ სატელევიზიო ანძის ძირში მოეწყობოდა, რომელიც ძალიან უყვარს.

ქართველი მხატვარი ხარ, თუ ინგლისელიო, — არ ვიცი, ხუმრობით, არ ვიცი, სერიოზულად ჰკითხა ჩემმა მაესტრომ. მან კი მთელი სერიოზულობით უპასუხა, არც ერთი ვარ და არც მეორე, უბრალოდ მხატვარი ვარო!

— ჯასთ არტისტ! — თავისთვის ჩაიინგლისურა პაატა ნაცვლიშვილმა და მე ისე მომეწონა მისი ეს დასკვნა, რომ დღეიდან ჩემთვის მაია ნავერიანი ჯასთარტისტია!

— ვფიქრობ, რომ ადამიანურ რეფლექსიებს არც ეროვნება და არც ეთნიკურობა არ გააჩნია, — გააგრძელა ჯასთარტისტმა, — და ამას არანაირი კავშირი არა აქვს პატრიოტიზმის გრძნობის ქონა-არქონასთან. მე მიყვარს ჩემი სამშობლო, მე მიყვარს ეს სივრცე, ეს კულტურა. თბილისში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ მხატვრობა ამ ყველაფრის გარეთ წარმომიდგენია. ამ ყველაფრის გარეთ, მაგრამ ადამიანის შიგნით, შინაგანი განცდებისა და ინტუიციის დონეზე. მე არა ვარ თვითნასწავლი მხატვარი, მაგრამ ვიზიარებ მათეულ მსოფლაღქმას — თავისუფალს ყოველგვარი კანონებისაგან და კონკრეტული კულტურის ნიშნებისაგან.

არათუ თვითნასწავლი, მაია ნავერიანი კარგად, ძალიან კარგად განსწავლული მხატვარია. რამდენიმე დღის განმავლობაში ნავერიანის მოწინავე აზრის სახლად ქცეულ გალერეა-კონტეინერს მრავალი დამთვალიერებელი ეწვია — ქართველი თუ უცხოელი. მოდიოდნენ, ფიქრობდნენ, კითხვებს სვამდნენ, მერე პასუხებს ეძებდნენ ამ კითხვებზე და შინ ბრუნდებოდნენ დაფიქრებულები.

და თავ-თავიანთ სახლებში ჯასთარტისტის მოწინავე აზრის ანარეკლები მიჰქონდათ.

საქართველოს ნამდვილად სჭირდება ასეთი დამაფიქრებელი, გამომაფხიზლებელი ნამუშევრები, ასეთი გამოძახილებით სავსე ნახატები, თუნდაც მხოლოდ იმისთვის რომ მომავალმა მხატვრებმა სტუდენტობის წლებში მხოლოდ ვაშლები და დოქები არ ხატონ და თამამად ეძებონ თავ-თავიანთი მოწინავე აზრის სახლებისკენ მიმავალი გზები.

დროა, გავცდეთ იმ ჩარჩოებს, რომელიც შინაგან გამოძახილს აარქივებს, დროა, ვამრავლოთ ჩვენს ქვეყანაში გამოფენები, რომელთაც უჩარჩოო სახელები ერქმევათ...

Forward Thinking-ის დროა, მკითხველო!

**გვანცა სამხარაძე**






ევრო – 2016

# ისარგებლეთ ფუფუნებით!



**გემახსოვრებათ, ახლო წარსულში როგორ ატარებდნენ კრიტიკის ქარცეცხლში იტალიელთა მწვრთნელებს, რომლებსაც ვერაფრით გაებედათ ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად ორი გენიალური ფლეიმეიერის – დელ პიეროსა და ტოტის დაყენება. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება – შორს რომ არ წავიდეთ, თბილისის „დინამოს“ ის ძლევამოსილი თაობა გავიხსენოთ, ყიფიანსა და მაჩაიძეს შორის რომ მოუხდა ცხონებულ ნოდარ ახალკაცს არჩევანის გაკეთება.**

ანალოგიური ვითარებაა საფრანგეთის სტადიონებზე მიმდინარე კონტინენტური ფორუმის „ბ“ ჯგუფში მოთამაშე ინგლისის ნაკრებში, რომლის თავკაც როი ხოჯსონის განკარგულებაში ტოპ-კლასის მოიერიშეთა მთელი თანავარსკვლავედია თავმოყრილი.

**ინგლისი – უელსი 2:1 (0:1).**

**გოლები:** ვარდი (56-ე წთ), სტარიჯი (90-ე წთ); ბეილი (42-ე. წთ).

პრინციპული ბრიტანული დერბის ბედი ბრძოლაში მოგვიანებით ჩაბმულმა რეზერვისტებმა გადაწყვიტეს. დაგვეთანხმებით, მართლაც დიდი ფუფუნებაა, სათადარიგოთა სკამზე გყავდეს პრემიერლიგის განვლილი სეზონის გმირ „ლესტერის“ ლიდერი ვარდი და ტრავმებით გატანჯული სტარიჯი, რომელმაც წლევანდელი ევროპის ლიგის ფინალში „ლივერპული“ გოლი– შედევრით დააწინაურა.



დავძენთ, რომ პარტნიორები კინაღამ დაღუპა „სიტის“ არასტაბილურმა მეკარემ ჰარტმა, რომელმაც ბეილის შორეული საჯარიმო ვერ მოიგერია, გერმანელმა მსაჯმა ბრიხმა კი აშკარა პენალტი არ დანიშნა უელსელთა კარში.

**სატურნირო მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ:** ინგლისი – 4, უელსი, სლოვაკეთი – 3-3, რუსეთი – 1 ქულა.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** ინგლისი-სლოვაკეთი, რუსეთი-უელსი.

მოულოდნელად ვითარდება მოვლენები „გ“ ჯგუფში, სადაც ჩრდილოეთ ირლანდიამ ვადამდე გაისტუმრა სამშობლოში უკრაინა – 2:0, ფავორიტებმა – გერმანიამ და პოლონეთმა კი ადვილად პროგნოზირებადი ზავი გააფორმეს ერთმანეთთან – 0:0 და უკვე პლეი-ოფისთვის შეუძლიათ მოემზადონ.

**სატურნირო მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ:** გერმანია, პოლონეთი – 4-4, ჩრდილოეთ ირლანდია – 3, უკრაინა – 0 ქულა.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** გერმანია – ჩრდილოეთ ირლანდია, პოლონეთი – უკრაინა.

**გუშინ: „ე“ ჯგუფი.** იტალია – შვედეთი 1:0.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# ტრილერი გრძელდება

**მაშინ, როცა ნბა-ს წლევანდელი ჩემპიონის ვინაობა ბევრს უკვე გარკვეული ეგონა, მონასტერი უცებ აირია, რაშიც „დამნაშავენი“ „კლივლენდი“ და მისი ლიდერები არიან.**

„კავალერთა“ დამრტყმელმა ტრიომ მეექვსე ბრძოლაშიც გაიბრწყინა: ჯეიმსი – 41, ირვინგი – 23, ტომპსონი – 15 (16 მოხსნასთან ერთად) ქულა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა – 3:3. მათი ჩინებული თამაშის ფონზე სტუმართა ყოჩის კარის 30 ქულა რა მოსატანია.




შეხვედრის ბედი პირველივე პერიოდში გადაწყდა – 31:11. ასეთი ნოკდაუნიდან გამოსვლა ოკლენდელებმა საფინალო სასტვენამდე ვერ შეძლეს – 101:115.

ყველაფერ სიკეთესთან ერთად მოქმედ ჩემპიონს იგუოდალაც დაუშავდა, რომელიც ისედაც მოუშუშებელი ტრავმით გავიდა სარბიელზე.

**„ოქროს მატჩს“ კვირას „უორიორზი“ უმასპინძლებს.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

ოლიმპიური ჩემპიონი

**ქეთევან ლოსაბერიძე** (დაიბადა 01. 08. 1949 წელს ტყიბულში) – მოსკოვის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული (1980) და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების (1972) მეოთხეადგილოსანი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1973, 81), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1972) და ორგზის ჩემპიონი გუნდურში (1972, 1978), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 1979) და ოთხგზის მესამე პრიზიორი (1971, 1972, 1974, 1981), სსრკ თასის მფლობელი (1872, 1978), სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1979), მილანის (1975, 1980), ლოძის (1976), კიოლნისა (1978) და ლვოვის (1981) საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1980), ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი, 2002-2005 წლებში საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

მოსკოვში დილიდანვე წვიმდა, სასროლეთზე ცივი ქარი ზუზუნებდა. გალუმპულ მშვილდოსნებს გათოშილი ხელი არ ემორჩილებოდათ. ბევრმა მკაცრ გამოცდას ვერ გაუძლო და სამი დღის ნაჯაფი წყალს გაატანა. ბავშვობისას გაჭირვებაგამოვლილმა ქეთევან ლოსაბერიძემ კი ბუნების ჭირვეულობაც აიტანა და მეტოქეებსაც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, ზუსტად ისროდა მიზანში – ასპარეზობის პირველივე დღიდან დაწინაურებული ფინიშთანაც პირველი იყო და 1980 წლის 3 აგვისტოს ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიპყრო. საბჭოთა მშვილდოსნობის ისტორიაში ეს არნახული წარმატება გახლდათ. და არა მარტო საბჭოეთისა: ქართველი ჩუბინი ევროპიდან პირველი და დღემდე ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონია მშვილდოსან ქალთა შორის.

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, შალვა ჯაშიაშვილმა მშვილდოსნობაში ვარჯიში რომ შესთავაზა. შრომაში გამოწრთობილს არ გასჭირვებია ფიზიკურ დატვირთვებთან შეგუება.

# ევროპიდან პირველი და დღემდე ერთადერთი

— პირველ წარმატებას 1967 წელს მივაღწიე – ვარჯიშის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ ქუთაისში „დინამოს“ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონი გავხდი, – იხსენებს გარდასულ დღეებს ოლიმპიური ჩემპიონი. – მშვილდოსნობა რაც ოლიმპიური თამაშების პროგრამაში აღადგინეს, უფრო ინტენსიურად დავიწყეთ ვარჯიში, რადგან საბჭოთა კავშირმაც შეიტანა ეს სახეობა სპარტაკიადების პროგრამაში. ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე 1971 წელს მე-5 ადგილი დავიკავე პირადში, ხოლო გუგული რიჟამაძემ, მე და ლიუბოვ ასატუროვამ გუნდურში ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ.



**— საერთაშორისო სარბიელზეც მალე მიაღწიეთ წარმატებას...**

— 1972 წელს მე, ემა გაპჩენკო და ვალენტინა კოფმანი გუნდურში გავხდით ევროპის ჩემპიონები. პირადი პირველობაც მე მოვიგე. იმავე წელს ოლიმპიურ ნაკრებშიც მიმიწვიეს, მიუნხენშიც სამნი გავემგზავრეთ. თავიდანვე ლიდერებში ვიყავი, მაგრამ ბოლო სერიაში დავთმე პოზიცია – ბრინჯაოს პრიზიორ ემა გაპჩენკოს ქულით ჩამოვრჩი და მეოთხე ადგილი დავიკავე. ჩემპიონობა ამერიკელმა დორინ იულბერმა მოიპოვა. მეორე ადგილზე პოლონელი ირენა შიდლოვსკა გავიდა. არადა, ევროპის ჩემპიონატზე ორივე პრიზიორს დიდი უპირატესობით ვაჯობე. ჩვენმა მწვრთნელმა არსენ ბალოვმა იხუმრა – ქეთევანმა ოქრო დაკარგა, ვერცხლი დათმო და ბრინჯაო გაასაჩუქრაო.

**— 1975 წლის ხალხთა სპარტაკიადის შემდეგ აქტიურ სპორტს რატომ ჩამოშორდით?**

— იმ წელიწადს სპარტაკიადასა და ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილები დავიკავე, თანაც კონტინენტის პირველობაზე სპეციალური პრიზითაც დამაჯილდოვეს. მერე გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატზეც გავემგზავრეთ, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ როდეზიის აპარტეიდისადმი პროტესტის ნიშნად შეჯიბრება დაგვატოვებინა. საკომპენსაციოდ იტალიურ მილანში გაგვიშვა საერთაშორისო ტურნირზე. იქ ტრადიციულად „ამბროზიანოს“ თასი გათამაშდა. ქალებს ვაჯობე. მთავარი პრიზისთვის მამაკაცებში გამარჯვებულ მასპინძელს – სპიგარელის შევხვდი. მაჯობა, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ რევანში ავიღე. მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა რუსკონიმ საბჭოთა ნაკრების წევრები ვახშამზე მიგვიწვია შინ და ასპარეზობის მთავარი ჯილდო – „ვერცხლის ყელსაბამი“ იქ გადმომცა; იმ შეჯიბრების შემდეგ განცხადება დავწერე – ნაკრებიდან გამათავისუფლეთ-მეთქი. ყველას გაუკვირდა. მიზეზი ის იყო, რომ 1974 წელს გავთხოვდი და, როგორც ყველა ქალი, მეც დედობაზე ვოცნებობდი. ამიტომ დიდ სპორტს ჩამოვშორდი. 1978 წელს საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ მთხოვა, მომავალი წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის დამეწყო მზადება – სუსტი წერტილი მომიძებნეს: საპრიზო ადგილზე თუ გახვალ, ვაკეში ოროთახიან ბინას მოგცემთო. მაშინ იოლი არ იყო ბინის მიღება. მეც დავყაბულდი. მალევე აღვიდგინე სპორტული ფორმა, მეორედ მოვიპოვე საბჭოთა კავშირის თასი, კიოლნის ტურნირზეც პირველი ვიყავი. 1979 წლის სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დავიკავე – ნატალია ბუტუზოვამ მაჯობა. იმ წლებში მას, მართლაც, მაღალი შედეგები ჰქონდა. მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგადი მათემატიკის მასწავლებლად ვმუშაობდი. კათედრის გამგეს – პოლიკარპე ზერაგიას ჩემი წარმატება რომ შეუტყვია, უხუმრია, ბინას უმიზნებდა და როგორ ააცდენდაო.

**— ბინა მართლა მოგცეს?**

— მაშინ ის სახლი ვაკეში შენდებოდა. სანამ დაასრულებდნენ, ოლიმპიადამაც მოუსწრო. მოსკოვში ჩემპიონობა რომ მოვიპოვე, სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას ვთხოვე, იქნებ, ერთი ოთახიც დამიმატოთ-მეთქი. უარი არ უთქვამთ. 1981 წლის ბოლოს სამოთახიანი ბინა მივიღე.

**— ყველაზე დიდი სიხარული, ალბათ, ოლიმპიადაზე მოპოვებულმა „ოქრომ“ მოგიტანათ.**

— ნებისმიერი სპორტსმენისთვის ოლიმპიური ჩემპიონობა ოცნებაა. ამ მხრივ, არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ ქალისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება მაინც დედობა გახლავთ. ჩემი თინიკოს დაბადებით გამოწვეულ სიხარულზე უფრო დიდი განცდა მე არ მქონია. თანაც როდის – გათხოვებიდან მეცხრე წელიწადს.

**— ქალბატონო ქეთევან, საბჭოთა ნაკრებში პრობლემები არასდროს შეგქმნიათ?**

— მაშინ ხშირად სპორტსმენის ბედ-იღბალი „ზემოთ“ წყდებოდა. ყოფილა შემთხვევები, როცა დიდ შეჯიბრებაზე არ წავუყვანივართ. ის კი არა, კინაღამ მოსკოვის თამაშებზეც არ გამომიყვანეს. იმ წელიწადს თითქმის ყველა ტურნირი მოვიგე. ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზეთ, ერთ-ერთ დისტანციაზე ხელი მომეცარა და საბოლოოდ მესამე ადგილი დავიკავე. გაიმარჯვა ოლგა როგოვამ. ოლიმპიურ ნაკრებში ერთბაშად ოთხი კანდიდატი აღმოვჩნდით – მე, ბუტუზოვა, როგოვა და რუსტამოვა. არჩევანი ჩემზე და ბუტუზოვაზე შეჩერდა. ატყდა ერთი ამბავი, მსოფლიო რეკორდსმენ როგოვას გარეთ რატომ ტოვებთო. ოლიმპიადამდე ორი კვირით ადრე ჩვენთვის ოფიციალური ტურნირი გამართეს. 2569 ქულა მოვაგროვე და დიდი უპირატესობით მოვუგე კონკურენტს.

**— თავად მშვილდოსნებს როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ თქვენთან?**

— ყოველთვის ვცდილობდით, მეგობრულად ვყოფილიყავით ერთმანეთთან. მხოლოდ ეს იყო, ზოგჯერ „ზემოდან“ გვიმღვრევდნენ წყალს. როგოვას რომ გამაჯიბრეს, მესამე დღეს ოლგა თავად მოვიდა ჩემთან და მითხრა, ოლიმპიადაზე შენ უნდა გამოხვიდეო. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ერთი ეპიზოდიც მინდა გიამბოთ: მე და ემა გაპჩენკო საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირიდან ვბრუნდებოდით. თვითმფრინავში გვერდიგვერდ ვისხედით. იგი თავის ოჯახზე მიყვებოდა. მითხრა, დედაჩემმა გემრიელი კერძების მომზადება იცის, დღეს მელოდება და ცხელ „შჩის“ დამახვედრებს, ერთს გემოზე ჩავხვრეპ და მერე დავიძინებო. გამახსენდა ჩემი ბავშვობა, ნაადრევად გარდაცვლილი დედა და თვალები ცრემლით ამევსო. ემას ეს არ შეუმჩნევია. მოსკოვში რომ ჩავფრინდით, გაპჩენკოს ახლობლები დახვდნენ და შინ წაიყვანეს, მე კი მშვილდოსნობის ფედერაციის



წარმომადგენლებმა ერთ-ერთი სპორტული ბაზის საერთო საცხოვრებელში მიმიყვანეს. გული დამწყდა...

**— ქართული მშვილდოსნობის დღევანდელ მდგომარეობაზეც მინდა გკითხოთ...**

— თამაზ ფუტკარაძემ და მისმა ოჯახმა ქალთა მშვილდოსნობა შეგვინარჩუნეს. დღეს ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, რაზეც ბოლოდროინდელი წარმატებებიც მეტყველებს. თუნდაც ის რად ღირს, რომ ჩვენი ქალები რიოს ოლიმპიადაზე სრული გუნდით იასპარეზებენ. მჯერა, რომ ქართველი ჩუბინები საერთაშორისო სარბიელზე კვლავაც გვასახელებენ.

**ვაჟა დანელია**

◎ სულიერება

# სულთმოფენობა

## ყოვლადწმინდა სამების დღესასწაული

**19 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს სულთმოფენობას, 18 ივნისს აღინიშნება მიცვალებულთა ხსენების დღე – სულის შაბათი.**




იესო ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს იდღესასწაულება სულთმოფენობა. ამ დიდებულ, მადლიან დღეს მოციქულებზე გადმოვიდა სულიწმინდის მადლი ცეცხლოვანი ენების სახით.

ყველასათვის ცნობილია, რომ ცეცხლს აქვს თბობის, წვის და ნათების თვისება, ასევე, მოციქულებმაც, წმინდა სულით აღვსილებმა, თავიანთი ნათელით გაანათეს ქვეყნიერებაზე არსებული წყვდიადი უგუნურების, ურწმუნოებისა და უღმერთოებისა...

საგულისხმოა, რომ სულთმოფენობის დღესასწაულზე ხდება მრავალთა წმინდათა ქართველთა მამათა და დედათა, აჭარაში თურქთაგან წამებულთა მოხსენიება (XVII-XVIII საუკ.). ცნობილია, რომ აჭარა ოდითგანვე იყო ქრისტიანობის შეურყეველი ბურჯი და ერთგული მეციხოვნე... ქრისტესთვის მოწამებრივად აღესრულნენ: ანდრია პირველწოდებული, მატათა მოციქული, უამრავი აჭარელი მოხუცებული მამაკაცები და დედაკაცები...

ნიშანდობლივია, რომ ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ დოკუმენტში შემზარავადაა აღწერილი ქრისტესთვის თავდადებულთა წამება. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა ქრისტიანობის დაცვისთვის აჭარაში მოწყვეტილი დედები და მამები და მათი მოხსენიება დააწესა სულთმოფენობას.

წირვის დასასრულ იკითხება მუხლმოდრეკით ლოცვა.

**გიული ლიპარტია**

◎ წიგნი

# მუსიკალურ-ლიტერატურული გასეირნება მანის ესეისტურ სამყაროში

**„მე რომ შემიძლია, დავცინო საკუთარ თავს, ეს ადამიანური თვისებაა, ასე არ არის? მე ჩემი გოეთე, საკმაოდ არამომგებიან შუქზე წარმოვადგინე. მაგრამ, როგორც ვიცი, ის ხშირად იმეორებდა ერთ გამოთქმას წმინდა წერილიდან, რომ ადამიანი შეიძლება ანგელოზის ენით მეტყველებდეს, მაგრამ თუ მას სიყვარულის უნარი არ გააჩნია, ეს მხოლოდ და მხოლოდ ეჟვნის ჟღარუნია. მე სასოწარკვეთილებაში ჩავვარდებოდი, თუ იმაში გამოვუტყდებოდი თავს, რომ სიყვარული არ გამაჩნია...“**




არამომგებიან შუქზე წარმოვიდგინეო, ბრძანებს დიდი გენიოსი და იქვე დაამატებს თავად გოეთეს აკვიატებულ ფრაზებს – სიყვარულის გარეშე არ მითქვამსო. ეს დიდი გენიოსი, გერმანელი მწერალი და მოაზროვნე თომას მანია, რომელიც მისთვის ჩვეული ანტითეზისური აზროვნებით ცდილობდა, ჩასწვდენოდა მასავით ოლიმპოზე შემდგარ მოაზროვნეთა შემოქმედებას, მათ რთულ და წინააღმდეგობრივ ბუნებას. მხოლოდ მას ძალუძდა, ტიტანთა აზრები დაეპირისპირებინა მათ სულის მარტოობასა და სოციალურ ყოფასთან, ხელი ეფათურა მათ მორალსა და ცხოვრებისეულ სისუსტეებზე და თავის გასასამართლებლად, რადგანაც უდიდესი სიზუსტით, ბედის მჩხიბავივით ზუსტად მოარტყამდა მიზანში, იტყოდა – ჩემს თავსაც შემიძლია დავცინოო. არადა, დასაცინი არაფერი ჰქონდა არც მას და არც მის საქვეყნოდ განთქმული ესეების გმირებს, თუ არ ჩავთვლით ცხოვრებისეულ სისუსტეუცნაურობებს.

მისი საესეიოდ გამხდარი გმირები კი თვით გოეთე, ლესინგი, შილერი, ვაგნერი, ფონტანე და იბსენი, შტორმი და კაფკა გახლდნენ. საკმარისი არაა, მკითხველო? ვგონებ, საკმარისზე მეტიც. თვით თომას მანი კი ასე ჰაი-ჰარად არ შებედავდა ამ ტიტანთა ცხოვრებანააზრევის გაესეებას, თავად გენიოსი და მათი დარი რომ არ ყოფილიყო.

სწორედ ეს, მანისეული **„ესეები გერმანულ ლიტერატურასა და მუსიკაზე“**, რომლებიც გასული საუკუნის დასაწყისიდან იწერებოდა, იხვეწებოდა და გამოიცემოდა, ვიდრე იმავე საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე, ერთად შეუკრებია და ჩინებულად გადმოუღებია ბრწყინვალე გერმანისტს, ქალბატონ **რუსუდან ღვინეფაძეს**. ზედმეტია საუბარი იმაზე, თუ რა სირთულეს აწყდებიან მანის შემოქმედების მთარგმნელები არა მარტო ქართულად, არამედ მსოფლიოს სხვა ენებზე, ავტორის ურთულესი, ფილოსოფიური ენისა და აზროვნების გამო, მაგრამ ქალბატონი რუსუდანისთვის ეს ჩვეულებრივი გასეირნება გახლდათ მანის მეტად თავისებურად წინააღმდეგობრივი აზრების სამყაროში. თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ ღვინეფაძისეული დიდი გემოვნებით შერჩეული და გადმოღებული ესეები არა მარტო ფილოლოგთა და ლიტერატურისმცოდნეთა სულის ასამაღლებელ ენაზეა დაწერილი, არამედ ყველა ასაკისა და გემოვნების ქართველი მკითხველისათვის გასაგები და მისაღები.

წიგნი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის **ნინო ბაქანიძის** რედაქტორობით გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა და შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა ქართველ მკითხველს.

**მამუკა ვაშაკიძე**

# ახალი ბაგა-ბაღი ნაძალადევში

**ნაძალადევის რაიონში, მანჯგალაძის ქუჩაზე წლების წინათ დახურულ №25 საბავშვო ბაგა-ბაღში (ყოფილი რკინიგზის მე-3 ბაღი) სასწავლო-საღმზრდელო პროცესი განახლდა. მერიის ინფორმაციით, ბაღი გათვლილია 350 აღსაზრდელზე.**

ახლად გახსნილი ბაღი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა. ღონისძიებას ესწრებოდა ნაძალადევის რაიონის გამგებელი ზაზა გაბუნია.

**„დღეს გავხსენით მეოთხე ახალი საბავშვო ბაღი, რითაც 350 პატარას ვაჩუქეთ სიხარული. ეს არის აბსოლუტურად თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული ბაღი, სადაც პატარების ღირსეული აღზრდისთვის ყველანაირი პირობა არსებობს. ამით ჩვენ ვაგრძელებთ იმ ძალიან აქტუალურ პროგრამას, რასაც ჰქვია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სულ უფრო მეტ უბანში. ზაფხულის განმავლობაში ათამდე ახალი ბაღის მშენებლობა დაიწყება, სექტემბერში კი ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლის დადგომას 3 ახალი ბაღით შევხვდებით“,** – განაცხადა თბილისის მერმა.

მერიის ინფორმაციით, ბაღში 10 სააღმზრდელო ჯგუფი იფუნქციონირებს და 60-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება.

## განცხადება

კოოპერატივ „დარჩელის თხილის“ გამგეობა იწვევს კოოპერატივის წევრებს საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2016 წლის 20 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. დარჩელში 12 სთ-ზე.

**კოოპერატივ „დარჩელის თხილის“ ადმინისტრაცია**

## რეკლამა

293-37-87

599 797679

მაჩაბლის ქ. №7.

◎ დედამიწის ზურგზე

### WSJ: სახელმწიფო დეპარტამენტში ობამას შესთავაზეს, შეუტიოს ასადს და დაამხოს სირიის მთავრობა



ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ათობით თანამშრომელმა ხელი მოაწერა შინაგან დოკუმენტს, რომელშიც გამოხატეს პროტესტი ამერიკის ლიდერის ბარაკ ობამას პოლიტიკის წინააღმდეგ სირიაში და მოუწოდეს მას, მიაყენოს მიზანდასახული საბრძოლო დარტყმები ქვეყნის პრეზიდენტის ბაშარ ასადის ძალებს, ამტკიცებს გამომცემლობა.

### კიოლნში ესპანელ ტურისტებზე თავდასხმის გამო დააკავეს ექვსი რუსი გულშემატკივარი



პოლიციის მონაცემებით, რუსეთელებმა, რომლებიც ევრო-2016-იდან ბრუნდებოდნენ, კიოლნის ტაძრის მახლობლად სცემეს 3 ესპანელ ტურისტს – 2 მამაკაცსა და 1 ქალს. ერთმა დაზარალებულმა ტრავმა მიიღო. პოლიციის მონაცემებით, სწორედ რუსეთელები იყვნენ ჩხუბის წამომწყებნი. პოლიციის წარმომადგენლის სიტყვებით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები ექსტრადირებული იქნებიან საფრანგეთში.

### ვენესუელის პრეზიდენტი აპირებს სასამართლოში უჩივლოს ქვეყნის პარლამენტს, რომელიც მისი ოპონენტების კონტროლქვეშაა



„ჩვენ წავალთ სასამართლოში, და ვფიქრობ და ვითხოვ ამის შესახებ წინასწარ, რომ ეს იყოს ღია პროცესი და რომ ვენესუელას შეეძლოს, თვალყური ადევნოს მას ეროვნული ტელევიზიით, დაინახოს უზარმაზარი გარდაუვალი ზარალის დადასტურება, რაც ამ ხალხს უნდა რომ მიაყენოს მშვიდობას რესპუბლიკაში“, – განაცხადა ნიკოლას მადურომ.

### პან გი მუნი უარს არ იტყვის სიტყვებზე რუსეთის შესახებ უკრაინის უკმაყოფილების გამო

პან გი მუნმა სიტყვები რუსეთის შესახებ თქვა თავისი ერთ-ერთი გამოსვლის დროს. „რუსეთი როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის მუშაობაში და მსოფლიო საკითხების მოწესრიგებაში – უკრაინასა და სირიაში კონფლიქტის დამთავრებიდან ადამიანის უფლებებისა და კონტროლის უზრუნველყოფისათვის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებით დამთავრებული“, – განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა.

### კანადას ნატოს თხოვნით შეუძლია დამატებით გაგზავნოს სამხედროები აღმოსავლეთ ევროპაში



იენს სტოლტენბერგმა შეგვახსენა, რომ ოტავამ უკვე გაგზავნა რამდენიმე გამანადგურებელი რეგიონში, ფრეგატი ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აკვატორიების პატრულირებისათვის, აგრეთვე ჯარისკაცების ასეული პოლონეთში სწავლებისათვის. ნატოში დიდად მადლობელი არიან წვლილისათვის, რაც უკვე შეიტანა კანადამ, მაგრამ მიესალმებოდნენ ქვეყნის უფრო ვრცელ მონაწილეობას ალიანსის ოპერაციებში, თქვა მან.

### მსროლელმა ორლანდოდან ხოცვა-ჟლეტის დროს მოთხოვნები წაუყენა რუსეთს

ომარ მატინი მომსვლელთა დახვრეტის დროს Pulse-ის კლუბში აქტიურად წარდა ფეისბუქში, ერთ-ერთ ცნობაში კი ითხოვს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთისაგან – შეწყვიტონ ისლამური სახელმწიფოს დაბომბვები. მან აგრეთვე ისაუბრა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან.



### ობამა შეხვდა ორლანდოში დაღუპულთა ნათესავებს

პრეზიდენტი გამოვიდა მორიგი მწარე სიტყვით და მოუწოდა შეზღუდონ იარაღის გაყიდვა: „პოლიტიკოსები თითქოს შეთანხმდნენ, რომ შეუმსუბუქონ ტერორისტს ან უბრალოდ გაუწონასწორებელ ადამიანს უკიდურესად ძლიერი იარაღის შესყიდვა“.

# დედაქალაქის სტუმართათვის და არა მარტო მათთვის...

**სტუდია „დაგი“, რომლის დაარსების ინიციატორი ნაადრევად გარდაცვლილი ფოტოხელოვანი დავით გიორგაძე გახლდათ და რომლის საქმესაც მამა, არანაკლებ ცნობილი ფოტოჟურნალისტი გიგლა გიორგაძე აგრძელებს, მრავალი ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე წამოწყების სულისჩამდგმელია.**

სულ ახლახან სტუდია „დაგმა“ გამოსცა **„ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების“** შესანიშნავი ბუკლეტი, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განთავსებული 12 ქართული ისტორიული ძეგლია შეტანილი. თითოეულ ფოტოზე დატანილია ძეგლის წარდგენა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ბუკლეტის შეძენის მსურველებისათვის სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ ყველას შესაძლებლობა ეძლევა თორმეტივე ქართული ძეგლის ფოტორეპროდუქცია გამომცემელს შეუკვეთოს (ზომა 32X42) და შეიძინოს ორიგინალური ჩარჩოთი, ასევე ჩარჩოს გარეშე როგორც ცალობით, ასევე მთელი კომპლექტი. ბუკლეტების შეძენა შესაძლებელია „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე სტუდია „დაგში“, რომელიც რუსთაველის პროსპექტის სიახლოვეს, სარაჯიშვილის ქ.№6-ში მდებარეობს (ტელ: 579 994577).




ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ფოტოკრებული შესანიშნავი საჩუქარია არამარტო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, არამედ იმ უამრავი ტურისტისთვის, რომლებიც საქართველოს ისტორიითა და წარსულით არიან დაინტერესებული.

**ავთანდილ ბექაური**

## ისტორიული შენობების რეაბილიტაცია ძველ თბილისში

**თბილისის განვითარების ფონდმა შალვა დადიანის ქუჩა №32- სა და №34-ში უძველესი ისტორიული სახლების სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო. აღნიშნულ მისამართებზე შენობებს სრული გამაგრება ჩაუტარდება, შენარჩუნდება ისტორიული დეტალები, აივნები, პირვანდელი სახით აღდგება გარე და შიდა ეზოს ფასადები, შეიცვლება კარ-ფანჯრები და სახურავები, მთლიანად გამოიცვლება ძველი საკომუნიკაციო ქსელები.**

ისტორიული კვლევების მიხედვით ცნობილია, რომ შალვა დადიანის ქუჩა №32 და №34-ში მდებარე სახლები ძველი ქალაქის გოდოლ-ბურჯზეა დაშენებული და სწორედ ამ ტერიტორიაზე გადიოდა თბილისის ძველი საზღვრები. გარდა უკვე ცნობილი გალავნის კედლისა, სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს, დადიანის №32-ის ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ქვეშ აღმოჩნდა პროდუქტების ძველებური სათავ-



სო, რომელიც იმ დროინდელი თბილისური სახლებისთვის დამახასიათებელი იყო და მაცხოვრებლები მსგავს სათავსოებს მიწის ქვეშ პროდუქტების შესანახად აშენებდნენ.

აღმოჩენილი ისტორიული სათავსოს ზუსტი თარიღის და ისტორიული ღირებულებების შესასწავლად არქეოლოგები მუშაობენ. თბილისის განვითარების ფონდი ისტორიულ სათავსოს კონსერვაციას დარგის სპეციალისტების რეკომენდაციების მიხედვით ჩაუტარებს.

უძველესი ისტორიული შენობების რეაბილიტაცია და რესტავრაცია 2016 წლის ბოლომდე დასრულდება.

## წყალში დაგებული ასფალტი ბორჯომში უკანვე აიღეს



**ბორჯომში, ერეკლეს ქუჩაზე, ძლიერი წვიმის დროს დაგებული ასფალტი კომპანიამ უკანვე აიღო. 15 ივნისს „ჰედეფ ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა მუშაობა არც ძლიერი წვიმის შემდეგ შეწყვიტეს და ასფალტის დაგება წყლით სავსე გზაზე გააგრძელეს. შედეგად, ადგილობრივების მიერ გადაღებულ ვიდეოში მოხვდნენ, რომელიც სოციალური ქსელითაც გავრცელდა.**

ფაქტს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია გამოეხმაურა და თავდაპირველად გამოითქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული ვიდეო ბორჯომში გადაღებული არ იყო, რადგან რესტორან „ფესვებთან“ ასფალტი წლების წინათ დაიგო. გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კონკრეტული მისამართი არასწორად გავრცელდა, თუმცა ასფალტს წყალში, კომპანია ნამდვილად ბორჯომში აგებდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელმა განმარტება გააკეთა.

## ყველაზე გრძელი ხიდი - ქობულეთის შემოვლით გზაზე

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი სეთურიძემ ქობულეთის შემოვლითი გზის (მეორე ლოტის) 18-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოები დაათვალიერა.**

პროექტის ფარგლებში შენდება: ორზოლიანი გზა ასფალტ-ბეტონის საფარით, 15 ხიდი, 2 გვირაბი და სხვა ხელოვნური ნაგებობები.

ამ დროისათვის ასფალტ-ბეტონის დაგება და ხიდების მშენებლობის სამუშაოები მიმდინარეობს. აღსანიშნავია რომ, ამ მონაკვეთზე შენდება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი 1180-მეტრიანი ხიდი, რომელიც ახალი ტექნოლოგიით – ბურჯზე მოძრავი ყალიბის გამოყენებით მოეწყობა.

ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა როგორც რეგიონისთვის, ასევე, მთელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტია.

პროექტს აზიის განვითარების ბანკი (ADB) აფინანსებს და მისი ღირებულება 209,852,079.67 ლარია.



## ცინცხალი ანეკდოტები

**მიხოს მამა მშობელთა კრებაზე მასწავლებლებმა საყვედურებით აავსეს – ჩვენი ნათქვამი არ ესმისო.**

**– აბა, რა ვქნათ, თავს იმართლებს მამა, – ეს ისეთი ოხერია, ერთ ყურში რომ შეუშვებს, მეორედან გამოუშვებს.**

**– ცდებით, – აპროტესტებს მამის ნათქვამს ფიზიკის მასწავლებელი, – ხმა ვაკუუმში არ ვრცელდება...**

* * *

**– თქვენს ქმარს სიმყუდროვე და სიწყნარე სჭირდება,– ეუბნება ექიმი ახალგაზრდა ქალს. – აი, თქვენ წამლის რეცეპტი.**

**– და როდის უნდა დალიოს ეს ძილის წამალი?**

**– მან კი არა, თქვენ უნდა დალიოთ.**

* * *

**– რატომაა, რომ როგორც კი თქვენთან მოვალ და სუფს ვჭამ, თქვენი ძაღლი მუდამ ასე უცნაურად მიყურებს?**

**– ის ყველას ასე უყურებს, ვინც კი მისი ჯამიდან ჭამს რამეს.**

* * *

**ცხოვრება ძალიან მოკლეა საიმისოდ, რომ ინერვიულო იმაზე, თუ რას იტყვის შენზე ხალხი, ამიტომაც იცხოვრე შენს გემოზე – მიეცი ხალხს სალაპარაკო თემა.**

* * *

**ტიპი პირველად ხტება პარაშუტით, მის გადმოხტომას ცოლი და უმცროსი ვაჟი უყურებენ. ტიპი მიწაზე დაეშვება, გაიშოტება და არ ინძრევა.**

**– შვილო, მიდი ერთი და ნახე – სუნთქავს კი მამაშენი?**



**– მამა კი სუნთქავს, მაგრამ მის სიახლოვეს ისეთი სუნი დგას, სუნთქვა შეუძლებელია, – ეუბნება დედას უკან მობრუნებული შვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

**გამოიწერეთ:**

**6 თვით – 60 ლარი,**
**1 წლით – 120 ლარი.**

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.129; ევრო - 2.399;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.017;
100 რუბლი - 3.238; თურქული ლირა - 0.727;
აზერბაიჯანული მანათი - 1.408;
1000 სომხური დრამი - 5.438

**ამინდი 18 ივნისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +14, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +10, | დღე +32 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +18, | დღე +38 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +11, | დღე +35 |
| თბილისი: | ღამე +17, | დღე +31 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE